საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 ნოემბერი, 2015 წელი.

№206 (7851)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჯილებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

გამიჯნული და გაუმიჯნავი ნაციონალები ერთმანეთის აგინებენ

③

უნდა დაიწყოს თუ არა რეპრესიები ქვეყანაში?

რამაზ საყვარელიძე:

გვარამია და ნაციონალები არ იბრძვიან ჟურნალისტების ინტერესების დასაცავად

④

ვახტანგ ძაბირაძე:

„ნაცმოძრაობამ“ თავი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო

⑤

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გადაარჩენს ქვეყანას

⑧

თეა წულუკიანი:

უკრაინის ხელმძღვანელობამ ღიად დაინახა, რომ სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს

③

ან სააკაშვილი ჩამოიყვანეთ, ან გვარამია გაუშვით... მოგვკლა მაგათმა სატელეფონო საუბრებმა

④

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა: მედიცინისა და მეცნიერების განვითარებისთვის



დღეისათვის მთელს მსოფლიოში აღინიშნება ონკოლოგიური დაავადებების სიხშირის მატების განუხრელი ტენდენცია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოს 14 მილიონზე მეტი ახალი შემთხვევა რეგისტრირდება.

ექსპერტთა შეფასებით, უახლოეს ოც წელიწადში, სავარაუდო დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, მოსალოდნელია, რომ უკვე 2035 წლისთვის ახალი შემთხვევების რაოდენობა 22 მილიონს გადააჭარბებს, გაუსწრებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს და პირველ ადგილს დაიკავებს დედამიწის მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის სტრუქტურაში.

ბირთვული მედიცინის უკანასკნელმა მიღწევებმა მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა მეცნიერებაში. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ რადიოთერაპიის დიაპაზონის გაფართოება დაკავშირებულია არაერთ ახალ, ინოვაციურ შესაძლებლობასთან, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ონკოლოგიური დაავადებების თანამედროვე მკურნალობაში.

საქართველოს მთავრობისა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით ჩვენს ქვეყანაში უახლოეს მომავალში ამოქმედდება ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ანდრონული თერაპიის ცენტრით. ამ პროექტის განხორციელებით საქართველო შევა მსოფლიოს იმ ქვეყნების ხუთეულში, სადაც ერთ-ერთი ასეთი უმსხვილესი პროექტი განხორციელდება.

ადრონული თერაპია გახლავთ მეცნიერული კვლევის კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ იმ პაციენტებში, რომელთა მკურნალობაც შეუძლებელია სტანდარტული ქირურგიული, ქიმიო და სხივური თერაპიის მეთოდებით.

პროექტს ექნება უმნიშვნელოვანესი გამოყენება არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ უფრო მასშტაბური სამეცნიერო-კვლევითი თვალსაზრისითაც, რადგან ის ითვალისწინებს უმაღლესი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენას და მობილიზებას, უახლესი ტექნოლოგიური აღჭურვილობის დანერგვას. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული პროექტი უდიდეს სტიმულს მისცემს ახალგაზრდა თაობას მეცნიერული კვლევისა და ინოვაციური მიდგომების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისთვის.



ნობელის პრემიის ლაურეატები

ინფექციები, ნეიტრინო, „კვარტეტი“, სიმდიდრე და სხვა

⑨

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◉ პრემიერი ულოცავს

აზერბაიჯანში არჩევნებში მმართველმა პარტიამ პოზიცია არ დათმო



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის მმართველ პარტიას საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

„საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ვულოცავ აზერბაიჯანის მმართველ პარტიას „ახალ აზერბაიჯანს“, ვულოცავ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევსა და ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანელ ხალხს. აზერბაიჯანის წინსვლა და განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისთვის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის. მჯერა, რომ აზერბაიჯანი ადგას იმ გზას, რომელიც ემსახურება რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის მიღწევას“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის მილოცვაში, რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

თურქეთში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ“ გაიმარჯვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის პრეზიდენტს რეჯეპ ტაიპ ერდოღანს და თურქ ხალხს არჩევნებში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ გამარჯვებას ულოცავს.

„თურქეთის რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას გულით ვულოცავ „სამართლიანობისა და განვითარების პარტიას“, ვულოცავ თურქეთის პრეზიდენტს რეჯეპ ტაიპ ერდოღანს, ვულოცავ თურქ ხალხს. მჯერა, რომ ჩვენმა მეგობარმა თურქეთმა ამ არჩევნებით გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, გაალრმავებს ჩვენს თანამშრომლობას და გააძლიერებს მშვიდობასა და სტაბილურობას ჩვენს რეგიონში“, — ნათქვამია მილოცვის ტექსტში, რომელსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

◉ საპატრიარქო მკრეხელობად მიიჩნევს

„თვითმკვლელი ღვთისმშობლის“ ნახატის შესახებ

ე.წ. „თვითმკვლელი ღვთისმშობლის“ ნახატს საპატრიარქო მკრეხელობად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ნახატი სუიციდის პროპაგანდას წარმოადგენს. ამის შესახებ საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების ტექსტი მედიას პრესმდივანმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ გააცნო. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ნახატი საზოგადოების რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელია, რაც ევროკავშირის ქვეყნებში სისხლის სამართლის დასჯადი ქმედებაა.

საპატრიარქო მიმართავს განათლების სამინისტროს, სახალხო დამცველს, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს, დააფიქსირონ თავისი პოზიცია მომხდართან დაკავშირებით და მიიღონ ყველა ზომა საზოგადოების რელიგიური გრძნობების დაცვისა და დაძაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. ასევე მოუწოდებს მრევლს, თავი შეიკავონ როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან.

„როგორც ცნობილი გახდა, ამა წლის 24 ოქტომბერს, ილიას უნივერსიტეტში სოციალური და კულტურული კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია და მოეწყო გამოფენა. გამოფენაზე სხვებთან ერთად გამოტანილი იყო ნახატი, რომელზეც გამოსახულია მიდგომილი (ფეხმძიმე) ღვთისმშობელი საფეთქელზე მიდებული ცეცხლსასროლი იარაღით, რაც უდიდესი მკრეხელობაა. ამ ფაქტს ჩვენი საზოგადოების დიდი აღშფოთება მოჰყვა. თუმცა, არიან ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც ამას ამართლებენ და აცხადებენ, რომ მომხდარი გამოხატვის თავისუფლების გამოვლინებაა და არ შეიძლება ხელოვნებას დაუწესდეს საზღვრები, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელი დამოკიდებულებაა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი „მოაზროვნეები“ ახდენენ დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას და მსგავსი ქმედებებითა და გამონათქვამებით, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას (არ ვგულისხმობთ მხოლოდ მართლმადიდებლებს) ევროპული არჩევანის საწინააღმდეგოდ განაწყობენ. არადა, იგივე ევროპული კანონმდებლობით, გამოხატვის თავისუფლება განუხრელადაა დაკავშირებული პირის ვალდებულებასა და პასუხისმგებლობასთან, თავი შეიკავოს სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან, ასევე ისეთი ქმედებებისაგან, რომელმაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას საზოგადოებრივ სიმშვიდეს. ამაზე მიუთითებს ევროპული კონვენციის მეათე მუხლი და სტრასბურგის სასამართლოს არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება. არაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, თუ ღვთის გმობა, სისხლის სამართლის დასჯადი ქმედებაა ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანაში. მაგალითად, იტალიაში, მალტაში, გერმანიაში, ავსტრიაში, დანიაში და სხვაგან. ჩვენთან კი ლამის სისტემური ხასიათი მიეცა ასეთი მოვლენების ტირაჟირებას.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ილიას უნივერსიტეტში მსგავს ფაქტს ადრეც ჰქონდა ადგილი, მათ შორის, 2010 წლის მაისში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ სასწავლებლის ხელმძღვანელობა იწვევს და ხელს უწყობს არა მარტო მორწმუნეთა შეურაცხყოფას, არამედ მათი სამოქალაქო სიმშვიდის დარღვევას. როგორც ჩანს, ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროვოცირება რელიგიური ადამიანებისა და შემდეგ ე. წ. მეცნიერული დაკვირვებები მათზე. ისინი იმასაც კი აღარ უწევენ ანგარიშს, რომ აღნიშნული ნახატი სუიციდის პროპაგანდას წარმოადგენს. რომ აღარაფერი ვთქვათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის მისიის სრულ უგულებელყოფაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

◉ ოჯახი, სკოლა, საზოგადოება

რატომ ვკლავთ საქართველოს მომავალს?!

ერთ დროს გაჩანაგებულმა იაპონიამ, დღეს ერთ-ერთმა წარმატებულმა ქვეყანამ (და არა მარტო იაპონიამ), პრიორიტეტულ სფეროდ განათლების დარგი გამოაცხადა და რეალური ღონისძიებები განახორციელა მის განსავითარებლად. საქართველოში, სამწუხაროდ, დეკლარაციებით შემოვიფარგლებით ხოლმე.

შედეგი აშკარაა — იაპონია ურთულესი კომპიუტერული ტექნიკის ავტორია და მსოფლიოს განვითარებულ, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანათა სიაში მოწინავეა.

რა ხდება ჩვენთან?

საქართველოში, ყოფილ საბჭოთა სივრცეში, ოდითგანვე დომინირებდა ფორმულა — ახალგაზრდის (ყმაწვილის) სულიერი და ინტელექტუალური სრულყოფილების მთავარი კომპონენტი იყო ოჯახი, სკოლა და საზოგადოება. იქ, სადაც, თუნდათ ერთ-ერთი ფაქტორი იგნორირებულია, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უშედეგო, ან ნაკლებად ეფექტურია.

დავიწყოთ ოჯახით: სამწუხაროდ, საქართველოში, სადაც ეს ინსტიტუტი უაღრესად მძლავრი ფაქტორი იყო ყმაწვილის ზნეობრივად ფორმირებისთვის, დღეს საერთოდ მოშლილია. სკოლებში მრავალწლიანი მოღვაწეობის საფუძველზე ჩამომიყალიბდა აზრი, რომ ქართული ოჯახების ნახევარზე მეტი (მხედველობაში მაქვს სკოლის მოსწავლეთა მშობლების ოჯახები) საერთოდ ვერ ან არ იცლის ბავშვის ნორმალურ გზაზე დაყენებისათვის. მათთვის უმთავრესია (სამწუხაროდ), როგორ გამოკვებონ შვილები. მეტიც, 100-მოსწავლიან სკოლაში 40-50 -ის მშობელთა ოჯახი დანგრეულია, დედა ლუკმაპურის საშოვნელადაა გადახვეწილი, მამა გალოთებულია და ბავშვის ბედი ნაკლებად აღელვებს. უკეთეს შემთხვევაში, თუ ორივე მშობელი ერთადაა, ოჯახში ყოფიერების ნიადაგზე აღმოცენებული დაუსრულებელი ჩხუბი და აყალმაყალია, რომლის თანამონაწილე ბავშვი სწავლისთვის ვერ იცლის.

ჩემი აზრით, ეს მცირეოდენი ახსნა-განმარტება წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, რომ დღეს საქართველოში მოსწავლის (ბავშვის) სწავლა-აღზრდის პროცესში ოჯახის როლი უსუსურად გამოყურება.

საზოგადოება — ეს იყო და არის ის გარეფაქტორი, რომელიც ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა მოზარდის ფორმირებაში. აბა, გაიხსენეთ, ჩვენი თუნდაც 20-30 წლის წინანდელი გარემო: 10-15 წლის ბიჭი გაბედავდა სიგარეტი ეთხოვა მასზე ბევრად უფროსისთვის? თუ გაბედავდა, ან უარს მიიღებდა, ან დარიგებას: შვილო, რა დროს შენი სიგარეტია... რატომ იკლავ თავს... და ა.შ. დღეს? ან მიაწოდებს, ან, უბრალოდ, ეტყვის, რომ არ ეწევა.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მეტროსა და ავტობუსებში) ყოველდღიურად ვაწყდებით ფაქტებს, თუ რა თავხედურად, ცინიკურად და აბუჩად ამგდებივით იქცევიან ჩვენი შვილების ან შვილიშვილების ტოლები და ამის შემსწრე არც ერთი ადამიანი ხმას არ იღებს და შენიშვნას არ იძლევა — არ დატუქსავს ამ აღვირახსნილი საქციელის ავტორს. საზოგადოების მხრიდან ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულება (მე არ მეხება) კიდევ უფრო ათამამებს და ახალისებს ამ ღლაპებს და უბიძგებს ზღვარგადასული ქმედებებისკენ.

სკოლა — სამწუხაროდ, სკოლა გასაწყლებული განტევების ვაცია, რადგან ზემდგომსაც და ქვემდგომსაც (ოჯახს, მშობელს) მიაჩნია, რომ სკოლამ უნდა შეძლოს ყველაფერი; მან უნდა იტვირთოს ოჯახისა და საზოგადოებისთვის განკუთვნილი ფუნქციების შესრულება და, როგორც მავანნი გვმოძღვრავენ, ინტელექტუალური, იდეურად და ზნეობრივად ჩამოყალიბებული ახალგაზრდის ფორმირება. სამწუხაროდ, დღეს ამ მისიის შესრულება სკოლას არ ძალუძს.

განათლების მესვეურები დღევანდელი სკოლის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად მასწავლებლის ხელფასის ზრდას მიიჩნევენ და თავს გვახვევენ აბსურდულ „მასწავლებელთა კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემას“.

ამ სქემის მიხედვით, სკოლის პედკოლექტივი, კათედრის ხელმძღვანელები და დირექცია მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ამ საქმით უნდა დაკავდნენ და მთავარი — გაკვეთილის ხარისხი — უყურადღებოდაა დატოვებული.

მოიშალა საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი (არ დაგვავიწყდეს, საბჭოთა განათლების სისტემა ერთ-ერთი უძლიერესი იყო მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ფიზიკოსის, მათემატიკოსის, მათ შორის, საქართველოს მეცნიერების წვლილი განუზომელია კოსმოსის ათვისების, კიბერნეტიკისა და ფიზიოლოგიის განვითარებაში) სასკოლო ინსპექტორისა და მეთოდისტის სამსახური.

სკოლის ინსპექტორისა და მეთოდისტის სამსახური (ინსტიტუტი) დაკომპლექტებული იყო კვალიფიციური, სასკოლო გაკვეთილების პროცესის წარმართვის მცოდნე კადრებით. მათი სკოლაში სტუმრობა მასწავლებლის, ძირითადად, დამწყები პედაგოგის მეთოდურ დახელოვნებას ემსახურებოდა. დღეს კი ამ ფუნქციის შესრულება სკოლასა და კათედრას დაევალა. არადა, კათედრის ხელმძღვანელი იმავე სკოლის პედკოლექტივის წევრია და ის თავისი კოლეგის მიმართ ვერ იქნება ისეთი მოთხოვნების წამყენებელი, როგორიც განათლების ორგანოებიდან მოვლენილი კომპეტენტური წარმომადგენელი იქნებოდა!

საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი უშვებს დიპლომიან მასწავლებელს, რომელსაც არც ერთი გაკვეთილი არ აქვს ჩატარებული. ასეთი პედაგოგის დახელოვნებას რომელი სკოლა ან სკოლაში არსებული სქემა თუ კათედრა უზრუნველყოფს?!

სახელმწიფო, სამწუხაროდ, არ ერევა საინფორმაციო საშუალებების, პირველ რიგში, ტელევიზიების, როგორც კერძო საკუთრების, საქმიანობაში, რის გამოც, იმ საათებში, როცა მოზარდი გაკვეთილებს უნდა სწავლობდეს, ეთერი დაკავებული აქვს ათასგვარ არაფრისმომცემ სერიალებს, გადაცემებს ძალადობისა და სექსუალური აღვირახსნილობის თემებზე.

VIII-X კლასების ბიოლოგიური მომწიფების ასაკში მყოფი მოზარდი — ამ გადაცემების აქტიური მაყურებელი ან მსმენელი — მეორე დღეს „ნახევრად გამოშტერებული“ ზის გაკვეთილზე და მასწავლებელი უძლურია მას რაიმე ასწავლოს!

ნუთუ ასე შეუძლებელია თუნდაც ერთი, ყველასთვის ხელმისაწვდომი პოპულარული ტელეარხის ეთერი დაეთმოს საჯარო ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე, ფიზიკაში, ქიმიაში, ისტორიაში!...

სამწუხაროდ, მავანნი და მავანნი, ვისაც დღეს ხელი მიუწვდება განათლების ბერკეტების მართვაზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით მასობრივად ხსნიან (ან ხელს უწყობენ) „აბიტურიენტთა და სკოლის მოსწავლეთა მოსამზადებელ ცენტრებს“. იმას, რასაც სახელმწიფო უკრძალავდა პედაგოგებს (რეპეტიტორობას ვგულისხმობ), ახლა თვითონ ახალისებს და აკანონებს, პედაგოგთა პრაქტიკული დახელოვნების მძლავრი ცენტრის შექმნის ნაცვლად!

გიორგი ქოზულია

გამიჯნული და გაუმიჯნავი ნაციონალები ერთმანეთის აგინებენ

უნდა დაიწყოს თუ არა რეპრესიები ქვეყანაში?

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს ექსპერტი **მამუკა არეშიძე**

— ბატონო მამუკა, ვნახეთ, რომ საპარლამენტო შუალედურ არჩევნებზე „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს, თუმცა, ოპონენტები და დამკვირვებლები სერიოზულად აპელირებენ დარღვევებზე. თქვენ რას იტყოდით?

— ამ არჩევნების შედეგი პროგნოზირებადი იყო, მართალია, რთულად, მაგრამ მაინც. თუ გადახედავთ ჩვენს საარჩევნო ტრადიციებს, ხელისუფლებას ასეთი ტიპის არჩევნები არასოდეს წაუგია. ასევე გამოიყენეს ყველა ის მეთოდი, რაც ახასიათებს ხოლმე საქართველოს საარჩევნო პროცესს. მინდა, გავიხსენო 2012 წლის არჩევნების არც თუ სასიამოვნო ამბავი, როცა მე კენჭს ვიყრიდი გარდაბანში „ქართული ოცნების“ წარდგინებით, მაშინ ჩემს წინააღმდეგ მობილიზებული იყო ვაზიანის ბაზაზე განლაგებული 4 ათასამდე სამხედრო და აი, ამ ხმებით წავაგე ზუსტად. მეც ყველა ქართული სოფელი მოვიგე, ხოლო ყველა აზერბაიჯანული — წავაგე ისე, როგორც ახლა საგარეჯოში მოხდა. ზუსტად იგივე მოხდა მაშინაც: გარდაბანში, დედოფლისწყაროში, ხონსა და თერჯოლაში „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები სამხედროების საშუალებით წააგო. ვინც ეს ამბავი იცოდა, ლიდერებს ვგულისხმობ, ერთხმად ამბობდნენ, მომავალ არჩევნებზე ჩვენ ამას არ დავუშვებთო. უნდა გავაუქმოთ წესი, რომლის მიხედვითაც სამხედროები იღებენ მონაწილეობას მაჟორიტარულ არჩევნებშიო. დარწმუნებული ვიყავი, რამ ამ სამ წელიწადში ეს წესი შეიცვლებოდა, მაგრამ სულ ტყუილად. ჩემი აზრით, საზოგადოებამ კატეგორიულად უნდა მოითხოვოს კანონმდებლობის შეცვლა. ლოგიკურიც იქნება. ჯარისკაცი შეიძლება იყოს საგარეჯოდან, ან არ იყოს, მაგრამ მაინც ირჩევს პრაქტიკულად უცხო რაიონის მაჟორიტარს. ეს მიუღებელია!

— თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს არჩევნებში ასეთი აქტიურობის უფლება ჰქონდა თუ არა?

— საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს დემონსტრაციული მონაწილეობის უფლება, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ. ეს მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო. ფორმალურად მათ შვებულება გაიფორმეს თუ არასამუშაო დროს იმყოფებოდნენ, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ამის გაკეთება მაინც არ არის მართებული! ესეც ერთგვარი ციინიზმია, რადგან რასაც სხვას უკიჟინებ, შენ იგივე არ უნდა გაიმეორო.

— როგორ ფიქრობთ, რა შეცდომები დაუშვა ირმა ინაშვილმა, რა ვერ გათვალა?

— მან ვერ შეძლო ერთ-ერთი მთავარი პუნქტის შესრულება — ხალხის გამოყვანა (ცნობილია, რომ ამომრჩევლის მეოთხედი მოვიდა მხოლოდ). სამწუხაროდ, ინაშვილს მთლად ბოლომდე არ სჯეროდა იმისა, რომ, როგორც წესი, აზერბაიჯანული მოსახლეობა ხმას სახელისუფლებო კანდიდატს აძლევს.

— ირმა ინაშვილი აპირებს, იბრძოლოს ხმების დასაცავად, როგორ გგონიათ, რამე შეიცვლება?

— არა მგონია, რადგან კანონი ორმაგი ინტერპრეტაციის საბაბს იძლევა. „პატრიოტთა ალიანსს“ უნდა ეზრუნა, ეს კანონი მანამდე გაუქმებულიყო, ახლა ბრძოლა დაგვიანებულია.

— გასაგებია, რაც მოხდა საგარეჯოში, თუმცა, ამის საპირწონედ, მარტვილში დამაჯერებლად მოიგო „ქართული ოცნების“ კანდიდატმა. ეს რამეზე მიგანიშნებთ?

— სამწუხაროდ, სამეგრელოში ჩატარებული არჩევნებისთვის თვალი არ მიდევნებია. მე „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და წევრი ვიყავი, აქედან გამომდინარე, სულაც არ მინდა, ხარვეზები იყოს. თუ დამაჯერებლად გაიმარჯვა, ამას რა სჯობია! ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხმა მხარი დაუჭირა ამ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას. როგორც მოსალოდნელი იყო, „ოცნება“ გაიმარჯვებდა, თუმცა, პრობლემა თამარ ხიდაშელში იყო, რომელსაც ინაშვილზე ნაკლები ცნობადობა ჰქონდა.

— ბატონო მამუკა, რა გვიჩვენა შუალედურმა არჩევნებმა, რა შეიძლება მოხდეს 2016 წლის არჩევნებზე?

— ამ არჩევნებზე ერთი „კარგი“ რამ მოხდა, ისევ ამოტივტივდა ჯარის თემა. გვიჩვენა ისიც, რომ მოსახლეობასთან უფრო აქტიური მუშაობაა საჭირო და როგორც ჩანს, NDI საზოგადოების ნიჰილისტურ განწყობასთან დაკავშირებით არ ტყუოდა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებასაც და სხვა ოპოზიციურ ძალებსაც მოუწევთ მეტის კეთება იმისთვის, რომ ხალხი არჩევნებზე მოვიდეს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ადამიანებს არ აწუხებთ პოლიტიკური პროცესები და არ უნდათ ამაში ჩართვა...

— რას იტყვით რესპუბლიკელებზე, რომლებიც „ქართული ოცნების“ აქტიურ ფრთას წარმოადგენენ, მაგრამ საზოგადოების ყველაზე მეტ რისხვას კი იმსახურებენ? ამ დროს შუალედურ არჩევნებზე ისევ რესპუბლიკელმა გაიმარჯვა.

— რესპუბლიკელებმა არ დათმეს ერთხელ მოგებული რაიონი და მათი მიდგომა ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია. მე ვიცი საზოგადოების განწყობა ამ პარტიის მიმართ, რომელიც ზოგ შემთხვევაში ობიექტურია, ზოგჯერ — სუბიექტური. რესპუბლიკელებს კოალიციაში დაკავებული აქვთ საკუთარი ნიში — ეს არის პროდასავლური ორიენტაცია, რომელსაც, სხვათა შორის, ძალიან ეფექტიანად იყენებენ. თუ ვინმეს შეუძლია პოლიტიკური პროცესის წარმართვა, ერთ-ერთი სწრაფად რესპუბლიკელები არიან...

— „ვიკილიქსის“ ჩანაწერების შეფასებაც საინტერესოა. გაგრძელდება თუ არა ეს პროცესები? და თქვენი აზრით, გვქონდა თუ არა საქმე ხელისუფლების გადატრიალების რეალურ დაგეგმვასთან?

— გავანებოთ თავი იმის ძიებას, ვინ და რატომ ჩაიწერა ან გამოაქვეყნა, მთავარია შედეგი და ის შინაარსი, რაზეც ჩანაწერში ითქვა. ვგულისხმობ სააკაშვილ-გვარამიასა და სააკაშვილ-ბოკერიას სატელეფონო საუბრებს. ამ შინაარსის მიხედვით, მრჩება შთაბეჭდილება, რომ მიხეილ სააკაშვილმა (რომელიც კარგად არის ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ შესაძლოა მას უსმენდნენ) დაუშვა ის, რაც დაუშვა. დიდი ალბათობით მან იცოდა, რასაც ლაპარაკობდა.

— ბატონო მამუკა, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ერთ-ერთ კომენტარში დაახლოებით ასე თქვა, ხელისუფლებას ნაციონალური მოძრაობის მსგავსი ქმედებები ხელს აძლევსო. 2016 წლის არჩევნებში მოგების შანსს უმყარებსო. „ქართული ოცნება“ ასე ვთქვათ, ამით „ტკბება“?

— რადგან ამაში არის რაციონალური მარცვალი, რადგან „ტკბობის“ პროცესი გაგრძელდა. იმდენად გაგრძელდა, რომ ხალხის გაღიზიანება გამოიწვია და პოლიტიკური ნიჰილიზმი გააჩინა. მტრის ხატის ხელოვნურად შექმნა პოლიტიკაში ყოველთვის იყო და იქნება, თუმცა, ამ საქმესაც კარგად კეთება უნდა. ჩემი აზრით, ის, რაც ხდება კოჰაბიტაციასთან, სამართლიანობის ადღგენასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად მიუღებელია და, შესაბამისად, „ქართულ ოცნებასაც“ აღარ აქვს ის რეიტინგი, რაც ჰქონდა.

— როგორ ფიქრობთ, ჩანაწერების სერია კიდევ გაგრძელდება?

— რა თქმა უნდა, გაგრძელდება. საქართველო ამ მხრივ უნიკალური არ არის. პოლიტიკა ყველგან კომპრომატების აგებაზეა დაფუძნებული. თუმცა, სულაც არ მინდა, რომ ჩვენთანაც კომპრომატების სიხშირით იზომებოდეს მმართველობის ხარისხი.

— თუკი დადასტურდება, რომ ვიღაცა მართლაც უსმენს სააკაშვილს და სრულიად ლეგიტიმურადაც, რა პრევენციული ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ ქვეყნის, საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად. როგორ უნდა მოიქცეს, როგორი უნდა იყოს შემდეგი სვლა?

— საქმე ისაა, რომ ეს არის ძალიან ფაქიზი და დელიკატური საკითხი. ხელისუფლებამ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს. უნდა შეძლოს „სახელმწიფო გადატრიალების“ ლიკვიდაცია, სახელმწიფოს ფუნქციონირებას არ უნდა შეექმნას პრობლემები, არ მოხდეს არეულობა... მაგრამ, ჩემი აზრით, პოლიტიკური რეპრესიები და ამ „ეჭვმიტანილთა“ სისხლის სამართლის დევნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პირიქით, „სტატუს კვო“ უნდა შენარჩუნდეს, მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა იყვნენ ჩანაწერებში მონაწილე ადამიანები. საჭიროა ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვა, მტერ-მოყვრის ინფორმირება და, რაც მთავარია, ქართველი საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარება, რასაც მოკლებული ვართ...

— და ბოლოს, საინტერესოა თქვენი აზრი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებზე. კონკრეტულად კი რუსული ავიალაინერის ჩამოვარდნის ფაქტთან დაკავშირებით...

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თვითმფრინავის საბარგულში იყო ჩადებული 4-5 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერება. თანაც „ისლამური სახელმწიფო“ აცხადებს, რომ თავის თავზე იღებს ამ ტერაქტს. თუ ეს ყველაფერი რეალობასთან ახლოა, ეს ნიშნავს, რომ დაიწყო ტერორისტული ომი რუსეთის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, პროცესი გაგრძელდება, ანუ ყველა ტურისტული თუ სხვა ტიპის მარშრუტი, რომლებიც რუსეთს დანარჩენ მსოფლიოსთან აკავშირებს, ტერორისტული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება.

— რატომ რუსეთი და არა სხვა ქვეყნები, რომლებიც ასევე მონაწილეობენ ანტიტერორისტულ კოალიციაში?

— იმიტომ, რომ რუსეთმა განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა მიაყენა ისლამური ხელიფატის და არა მხოლოდ ისლამური ხალიფატის მებრძოლებს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში სირიის ტერიტორიაზე სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირების 55 მეთაური დაიღუპა. აქედან 8 არის ისლამური ხალიფატის მაღალი თანამდებობის პირი, 11 — ზომიერი ოპოზიციის ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა დაჯგუფების ხელმძღვანელი პირები არიან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და მრავლისმეტყველი ციფრია. როგორც ჩანს, რუსეთი იბრძვის არა მხოლოდ დაბომბვების მეშვეობით, არამედ ატარებს სპეცოპერაციებს სპეციალური დანიშნულების რაზმების გამოყენებით. რუსეთის უშუალო მონაწილეობა სირიის ტერიტორიაზე ძალიან ეფექტიანი გამოდგა, და ამავე დროს ძალიან წამგებიანი — იქ მებრძოლი სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებისთვის. ზუსტად ამის გამო, დარწმუნებული ვარ, რომ მთელი აგრესია რუსეთისკენ იქნება მიმართული.

— და არ შეიძლება, ეს არ სცოდნოდა რუსეთის ხელისუფლებას...

— რუსეთს არასოდეს არ აღელვებს საკუთარი მოქალაქეების ბედი და სიცოცხლე. ეს ტრადიციული მოვლენაა...

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

უკრაინის ხელმძღვანელობამ ღიად დაინახა, რომ სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, უკრაინის ხელმძღვანელობამ ღიად დაინახა, რომ საქართველოდან წასული ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც უკრაინის ერთ-ერთი გუბერნიის ხელმძღვანელია, საქართველოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს.

„როდესაც მე გახლდით ვიზიტით კიევში, მაშინაც ჩემს მეგობრებს — უკრაინელ მაღალჩინოსნებს, ჩემს კოლეგას, იქაურ მედიას, როდესაც შევხვდი ვუთხარი, წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ საქართველოში უკრაინის მოქალაქე იყოს მაღალჩინოსანი და უკრაინის წინააღმდეგ რაიმე ტიპის განცხადებებს აკეთებდეს. ისინი მიხვდნენ რას ვგულისხმობდი და გაიკვირვეს. ახლა გაკვირვების დრო აღარ არის. უკრაინამ და მისმა ხელმძღვანელობამ ღიად დაინახეს, რომ საქართველოდან წასული ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც უკრაინის ერთ-ერთი გუბერნიის ხელმძღვანელია, საქართველოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს. მისი მიდგომა არის ძალადობისკენ, მისი მიდგომა არის იქითკენ, რომ ოლონდაც კი გაზარდოს შანსები ხელისუფლებაში დაბრუნების, ნაციონალური მოძრაობა მისი ხელმძღვანელობით მზად არის და არ მოერიდება იმას, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში სისხლისღვრას. რა თქმა უნდა, ამაზე უკრაინის პრეზიდენტმა და ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს რეაგირება“, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, რა იქნება ეს რეაგირება, ამის მრჩევლად ქართული მხარე ვერ გამოდგება, რადგან უკრაინა არის სუვერენული სახელმწიფო.

ამერიკელი ჟურნალისტები ფაქტებს ამახინჯებენ

აშშ-ში საქართველოს ელჩმა არჩილ გეგეშიძემ გამოცემა „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქტორებს მიმართა წერილით — „საქართველოში დემოკრატია და მედიაპლურალიზმი ყვავის“. ქართველი დიპლომატის ეს წერილი არის პასუხი „ვაშინგტონ პოსტში“ 27 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიაზე სათაურით „მთავრობის მიერ პოპულარული ტელეკომპანიის მითვისება დარტყმა იქნება საქართველოს დემოკრატიაზე“. ელჩის მოსაზრებით, აღნიშნულ სტატიაში საქართველოში არსებული მდგომარეობა დემოკრატიის კუთხით არასწორად იყო წარდგენილი.

„მას შემდეგ, რაც 2012 წელს ახლანდელი მთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა, საქართველომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, მედიაპლურალიზმისა და ადამიანის ბაზისური უფლებების გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. საქართველო თავისუფალი და დემოკრატიულია, როგორც არასდროს. „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ 2015 წლის პრესის თავისუფლების ინდექსით, საქართველომ 185 ქვეყანას შორის 69-ე ადგილი დაიკავა და 2012 წელთან შედარებით პოზიციები 35 პუნქტით გააუმჯობესა. ჩვენი პროგრესი ასახულია სახელმწიფო მართვის შესახებ მსოფლიო ბანკის ანგარიშშიც, რომელიც ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა. 2012 წლის შემდეგ, საქართველომ ანგარიშვალდებულების კუთხით პოზიციები 16 ადგილით, კანონის უზენაესობის კუთხით — 19, პოლიტიკური სტაბილურობისა და მთავრობის ეფექტურობის კუთხით — 22, კორუფციის კონტროლის კუთხით კი, 23 ადგილით გაუმჯობესება“, — ნათქვამია წერილში.

საქართველოს ელჩის მოსაზრებით, დავა „რუსთავი-2“-ის მფლობელობის საკითხზე უკავშირდება წარსულს, როცა „საკუთრების თვითნებური ამოღება და დაშინება საქართველოში ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო“.

რამაზ საყვარელიძე:

გვარამია და ნაციონალები არ იბრძვიან ჟურნალისტების ინტერესების დასაცავად

„ეს იდიოტი უცხოელები რას შვრებიან?“, — უკრაინული გამოცემა uareview.in.ua-ს მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერის მიხედვით მიხეილ სააკაშვილი დაინტერესდა უცხოელების რეაქციით, რაზეც ბოკერია პასუხობს, რომ დიდი განცხადების გაკეთებას აპირებს სახელმწიფო დეპარტამენტი. სააკაშვილის ამ განცხადებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით დასავლეთს და აშშ პოზიცია არ გამოუთქვამთ.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ყოფილი პრეზიდენტის არაკორექტული განცხადების გამო, საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიპლომატიურ კორპუსს ბოდიში უნდა მოუხადოს.

— ბატონო რამაზ, სატელეფონო საუბრიდან ჩანს, რომ სააკაშვილი უკმაყოფილოა უცხოელების რეაქციით. ტერმინი „იდიოტი უცხოელები“ — როგორ შეიძლება აღქმული იქნეს ჩვენი უცხოელი მეგობრების მხრიდან?

— ნათქვამია, გამშველებელს ყველაზე მეტი ხვდებაო. ვინც ცდილობს, შუაში გაიაროს, როგორც წესი, ორივე მხარე მისით უკმაყოფილოა. მოგეხსენებათ, ხელისუფლების დამოკიდებულება უცხოელების რეაქციის მიმართ და აღმოჩნდა, რომ სააკაშვილიც უკმაყოფილოა.

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესების მიმართ თავის პოლიტიკურ სტილს გადახედავენ უცხოელები და ეცდებიან, რომ უფრო გარკვეული პოზიცია დაიკავონ. რაც შეეხება იმას, თვითონ რას იზამენ, ვივარაუდოთ, რომ მათ უკვე ჩაყენეს საქმის კურსში თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელობა და დაელოდებიან ინსტრუქციას.

— შესაძლებელია ნაციონალების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს?

— წესით, დიპლომატები ინდივიდუალური გემოვნებით არ მოქმედებენ, მოქმედებენ იმ სახელმწიფოს პოლიტიკით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ამ ფრაზის შემდეგ როგორი იქნება იმ სახელმწიფოების პოლიტიკა სააკაშვილის მიმართ, ძნელი სათქმელია, ისევე როგორც ძნელი სათქმელია რატომ იყო მათი პოლიტიკა აქამდე ისეთი, როგორიც იყო.

— ამ ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ „სახალხო პარტიის“ იმედად არის? ფაქტია, რომ უკმაყოფილოა დასავლეთის და აშშ-ის პასიურობით...

— რა თქმა უნდა, რადგან მიხეილ სააკაშვილი დასავლეთისგან ითხოვს მკვეთრ და მკვახე შეფასებებს, ისეთს, როგორიც თითქმის გარანტირებული აქვს „სახალხო პარტიისგან“. ჩვენ ვხედავთ, რომ „სახალხო პარტიის“ პოლიტიკური რიტორიკა ძალიან განსხვავებულია დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტების რიტორიკისგან და ამიტომაც ჩავარდა ამას წინათ მათი პროექტი საქართველოს თაობაზე.

ის, რომ დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტები ცდილობენ, რომელიმე მხარის დამცველები არ აღმოჩნდნენ, ამას დიპლომატიური ეტიკეტიც ითხოვს. სააკაშვილი „სახალხო პარტიისგან“ და მსგავსი პოლიტიკური ფიგურებისგან შეეჩვია, რომ ისინი, ხშირ შემთხვევაში, არ არიან ამ ეტიკეტის დამცველები. აბიჯებენ ამ ეტიკეტს და ისე აკეთებენ დადებით შეფასებებს სააკაშვილის გუნდის მიმართ და კრიტიკულს — მმართველი ხელისუფლების მიმართ. ეს არცთუ ისე ზრდილობიანი ფრაზა ნათქვამია იმ დასავლელი პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც არ არღვევენ დიპლომატიურ ეტიკეტს.

— დასავლეთის სიფრთხილე ნიშნავს, რომ აცნობიერებენ რეალურად რასთან გვაქვს საქმე და, რომ „რუსთავი-2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესები, ეს არის კერძო პირებს შორის ქონებრივი დავა, რომელსაც კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან და მით უმეტეს თავისუფალი სიტყვის დევნასთან?

— რა თქმა უნდა, და მისასალმებელია დასავლეთის ეს სიფრთხილე, ისინი არ იმეორებენ „სახალხო პარტიის“ სტილს. რა თქმა უნდა, ეს სიფრთხილე არ აწყობს მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეებისთვის ცხვირ-პირის დამტვრევა უნდა. ანალოგიური ცხვირ-პირის დამტვრევა უნდა საერთაშორისო არენაზეც, რადგან თუ მას არ მიიღებენ, მაშინ მისთვის „იდიოტები“ არიან.

ფაქტია, რომ საკმაოდ მძიმე ფრაზა იქნა ნათქვამი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისგან, ამიტომ გამართლებული იქნება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბოდიში მოუხადოს ჩვენს დასავლელ მეგობრებს. ეს არის არაკორექტული განცხადება და თუ ამ არაკორექტულობას სიჩუმით აუარე გვერდი, სავარაუდოა, რომ ეს სიჩუმე თანხმობის ნიშნად იქნეს აღქმული.

გარდა ამისა, ურიგო არ იქნება დიპლომატებმა შეაფასონ უკრაინის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირის მიერ საქართველოში დესტაბილიზაციის ორგანიზება. ალბათ, კარგი იქნება, რომ უფრო მკვეთრი გახდეს მათი პოზიცია დესტაბილიზაციის მიმართ, რაც ასევე იქნება პასუხი სააკაშვილის მიერ მათი სახელმწიფო ლიდერების მიმართ გამოთქმულ არაკორექტულ შეფასებასთან დაკავშირებით.

— ამ შემთხვევაში, ალბათ, ხელისუფლების მოვალეობაა დიპლომატებს გააცნონ დეტალური ინფორმაცია, რას გეგმავდა სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში?

— გვევალება კიდევაც, რომ გავაცნოთ ეს ინფორმაცია და ასევე, მათ მიმართ გამოთქმულ ფრაზაზე ოფიციალური პოზიცია გამოთქვას საქართველოს ხელისუფლებამ, რადგან ეს მათი შურაცხყოფაა და სასურველია დაფიქსირებული იქნეს ოფიციალური პოზიცია მათ წინაშე, რომ საქართველოს მოქმედი ხელისუფლება ემიჯნება სააკაშვილის ამ ფრაზას და ასევე ყოველგვარ ძალადობას.

— „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები ამბობენ, რომ ემიჯნებიან ყოველგვარ ძალადობას, მაგრამ საპასუხოდ გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ ჟურნალისტების გადასაწყვეტი არ არის, ხელს შეუშლიან თუ არა ივანიშვილის არაკონსტიტუციურ ქმედებას. ნიკა გვარამია კი ვერ ხვდება, როგორ უნდა აზიანებდეს სააკაშვილის გეგმა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს. ეს განცხადებები, ალბათ, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ „რუსთავი-2“ პოლიტიკური ბრძოლის იარაღია ნაციონალების ხელში?

— არა მგონია, რომ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებმა ვერ დაინახონ ის, რომ ბატონი გვარამია იბრძვის როგორც პირველი პირი იმ ინტერესების დასაცავად, რაც ტელევიზიის პირველ პირობას შეესაბამება, ფინანსურ თუ სხვა უფლებების მხრივ. **არც ერთ შემთხვევაში გვარამია და მით უმეტეს ნაციონალური მოძრაობის წევრები არ იბრძვიან ჟურნალისტების ინტერესების დასაცავად.**

— როდესაც ჟურნალისტებს საკუთარი პოზიციის გამოთქმის უფლება არა აქვთ, რა თავისუფალ სიტყვაზე შეიძლება იყოს საუბარი მათი მხრიდან?

— და მათ ეძცევიან როგორც იარაღს — ერთი მხრივ, როგორც დესტაბილიზაციის საბაბს, მეორე მხრივ, იმ საზარბაზნე ხორცს, რომელიც შეშვერილი უნდა იყოს ყველა პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური დაპირისპირების საპასუხოდ. ჟურნალისტების გადასაწყვეტია, იძნებიან თუ არა შინაური ცხოველების რანგში, რომელსაც როცა უნდათ მაშინ დაკლავენ. საქართველოს ბოლო წლების ისტორიაში გვახსოვს ჟურნალისტების მიერ გამართული საპროტესტო აქციები, როცა ჟურნალისტები სხვა პოლიტიკას უჭერდნენ მხარს და ხელმძღვანელობა სხვას. მაშინ ნამდვილად სიტყვის თავისუფლებაზე იყო ლაპარაკი, იმიტომ, რომ თავისუფალი სიტყვის ავტორი არის თავისუფალი ჟურნალისტი. რეადაქციის პოლიტიკის ძვეშ მოქცეული ჟურნალისტი უკვე პოლიტიზებული ჟურნალისტია, მით უმეტეს, თუ ეს პოლიტიკა პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება. დანარჩენი უკვე „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების გადასაწყვეტია, არიან თუ არა თავისუფალი მედიის წარმომადგენლები. იმედს ვიტოვენ, რომ ჟურნალისტები გადაწყვეტენ, როგორც საკუთარ, ასევე „რუსთავი-2“-ის ბედს.

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

პოროშენკო დრო, დაფიქრდეს და გონს მოეგოს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერებთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს წერილი გაუგზავნა.

წერილში საქართველოს მთავრობის მეთაური შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბარი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილ ხელმძღვანელთან და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორთან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებსა და ანტისახელმწიფოებრივი, ძალადობრივი ქმედებებისკენ კონკრეტულ მოწოდებებს შეიცავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი ქმედებები საქართველოსა და უკრაინის მეგობრულ ურთიერთობებს არ შეეფერება. პრემიერი აღნიშნავს, რომ ამ მოწოდებებმა შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საქართველოში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და უკრაინის პრეზიდენტს აღნიშნული საკითხით დაინტერესების თხოვნით მიმართავს.

ან სააკაშვილი ჩამოიყვანეთ ან გვარამია გაუშვით... მოგვკლა მაგათმა სატელეფონო საუბრებმა

უკრაინულმა საიტმა http://uarevo8in8ua/ **სავარაუდოდ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მორიგი სატელეფონო ჩანაწერი გაავრცელა.**

ჩანაწერის მიხედვით, სააკაშვილი ნიკა გვარამიას ეუბნება, რომ ჟურნალისტთა კოლექტივთან „წაიმუშავოს“.

მიხეილ სააკაშვილი: მე ვიზიარებ რომ, არ გვინდა შეშინება ჟურნალისტების კოლექტივის... ერთადერთი წაიმუშავე ყველასთან სათითაოდ... მაგათ აუხსენი, ყველას გაყრიან სათითაოდ. ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი სავარაუდოდ, დავით კეზერაშვილს ახსენებს.

ნიკა გვარამია თემურ ჯანაშიას ახსენებს და აცხადებს, რომ დაცვის ორგანიზებას მას დაავალებენ, მიხეილ სააკაშვილი კი ყოფილი სპეცრაზმელების საჭიროებაზე საუბრობს.

ნიკა გვარამია: ეს სპეცრაზმელები საიდან მოვიყვანო, ნაცებს ვთხოვო, რომ დამაკავშირონ?

მიხეილ სააკაშვილი: გივი იცნობს ყველას....

სააკაშვილი ნიჟარაძესთან საუბარში ასკვნის, რომ ... ქინძია

უკრაინული ვებგვერდი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და მომღერალ სოფო ნიჟარაძეს შორის სატელეფონო საუბარს აქვეყნებს. გამოქვეყნებულ ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი სავარაუდოდ პეტრო პოროშენკოსთან შეხვედრის შესახებ საუბრობს.

„ვიყავი პოროსთან და მოვედი უკან, ახლა დავამთავრე“, — ამბობს სააკაშვილი. ამის შემდეგ სააკაშვილი და ნიჟარაძე საუბრობენ თუ როდის გადაწყვეტს გარკვეულ საკითხს, თუმცა რა ამბავს გულისხმობენ, უცნობია. გარდა ამისა, სააკაშვილი ეუბნება ნიჟარაძეს, რომ „მანდ სისხლისღვრა იქნება“.

„სტო პრო“ იქნება ქინძი ვიყო“, — ამბობს სააკაშვილი.

გარდა ამისა, სააკაშვილი და ნიჟარაძე ამ საუბრის მიხედვით შეურაცხმყოფელი სიტყვებით საუბრობენ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტ ნოდარ მელაძეზე.

„რუსთავი-2“-მა ვერ მიაღწია ივანიშვილისა და ოქრუაშვილის დაკითხვას

მოსამართლემ „რუსთავი-2“ -ის ადვოკატების შუამდგომლობა ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ოქრუაშვილის მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

მოსამართლის განმარტებით, საქმის მასალებში არ ჩანს ბიძინა ივანიშვილის შემხებლობა საქმესთან დაკავშირებით. ამასთან არ დგინდება, თუ როდის არის აღნიშნული ინტერვიუ მოპოვებული, რაც ვერ ჩაითვლება საქმეში ახალ მტკიცებულებად დართვის მოტივად.

მოსამართლემ არც ირაკლი ოქრუაშვილის დაკითხვის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. მოსამართლე თამაზ ურთმელიძის განმარტებით, საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის თანახმად, სასამართლო პროცესის ამ ეტაპზე, როდესაც პაექრობის ეტაპზე გადასვლა იგეგმება, არ შეიძლება საქმეში ახალი მტკიცებულებების დართვა.

ინტერპრესი

ვახტანგ ძაბირაძე – „ნაცმოძრაობამ“ თავი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო



— ბატონო ვახტანგ, მართალია, უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენების პოლიტიკურ შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მხედველობაში მაქვს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის სატელეფონო საუბარი „რუსთავი-2“-ის გენდირექტორ გვრამიასთან და „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ ბოკერიასთან, მაგრამ უკვე აშკარად ჩანს, რომ 30 ოქტომბერი ქართულ პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. ექსპრეზიდენტი სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ჩანაწერი „რუსული სპეცსამსახურების მიერაა ჩაწერილი“, თუმცა ფაქტია, რომ ამ ჩანაწერის გასაჯაროებამ ჩვენი ისედაც აწეწილ-არეული შიდა პოლიტიკა მეტად არია. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს?

— მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს იმას, თუ ვინ ჩაიწერა ან გაასაჯაროვა ეს საუბარი. დავუშვათ, იგი რუსულმა სპეცსამსახურებმა განახორციელეს და გაასაჯაროვეს, ეს რას ცვლის? ამით არც ჩანაწერის შინაარსი იცვლება და არც მოქმედი პირები. მთავარია, გავერკვეთ, რამდენად ავთენტურია გამოქვეყნებული ჩანაწერი. რადგან საუბრის მონაწილეები ჩანაწერის ნამდვილობას ადასტურებენ (თუმცა, გამოძიებამ ალბათ, უნდა ჩაატაროს ექსპერტიზა), ახლა მნივნელოვანია ამ ჩანაწერების ანალიზი. გარკვევა იმისა, თუ რის მიღწევას ცდილობდა და ცდილობს „ნაცმოძრაობა“. რა არის მათი რეალური მიზანი - მართლაც დაიცვან სიტყვის თავისუფლება, თუ სიტყვის თავისუფლების დაცვის ლოზუნგით შეეცადონ საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ანალიზის საგანი ეს უნდა იყოს.

— ჩანაწერის არაერთგზის მოსმენის შემდეგ დარჩა შთაბეჭდილება, რომ ექსპრეზიდენტი სერიოზულ თემებზე, თუნდაც იმაზე, რომ თუ სასამართლომ განაჩენის აღსრულება იძულების წესით დაადგინა, მაშინ „რუსთავი-2“-მა წინააღმდეგობა ბარიკადებით უნდა შეძლოს, საკმაოდ დაბეჯითებით საუბრობდა, ხოლო მის ორივე მოსაუბრეს, გვარამიას და ბოკერიას აშკარად არ მოეწონათ ოდესიდან სააკაშვილის გზავნილები. რა უნდა ვიფიქროთ — სააკაშვილმა საქართველოში არსებული რეალობა არ იცის, პოლიტიკური ბრძოლის მეთოდოლოგიაზე „ნაცმოძრაობაში“ აზრთა სხვადასხვაობაა? ფაქტია, რომ იგი თანაგუნდელებზე ასდენს ზეწოლას, რათა მათ ხელისუფლებას შეცდომა დააშვებინონ და პროცესები ხელისუფლებისათვის და ქვეყნისათვის არასასურველი სცენარით განვითარდეს...

— შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით სააკაშვილი სამშვიდობოსაა გასული, ბოკერია და გვარამია კი თბილისში იმყოფებიან, ამიტომ სააკაშვილისთვის ბრძანების გაცემა ძალიან ადვილია. ამ ბრძანების შესრულება კი, თანაც როდესაც საუბარია პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარებასა და ბარიკადების აღმართვაზე, ძნელიცაა და სახიფათოც.

რაც შეეხება სააკაშვილს. არა მგონია, რომ იგი მოწყვეტილი იყოს საქართველოში არსებულ რეალობას. თუ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში „ნაციონალების“ ქმედებებს გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ მათ ყველაფერი სცადეს. ყოველ წელს ისინი ცდილობდნენ, რომელიმე თემაზე მოეწყოთ აქციები და დაედგინათ საკუთარი რეიტინგი და გავლენა მოსახლეობაში. ენ-დი-აის კვლევებს არ ვგულისხმობ. თუ ამ საკითხს სიღრმისეულად განიხილავთ, სხვაგვარი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს. შეიძლება ითქვას, რომ 3 წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობამ“ ვერ შეძლო რებრედინგის გაკეთება, დარჩა ისეთივე აგრესიული და მიუღებელი მოსახლეობისთვის, როგორიც იყო. მათ ბევრი რამ მოსინჯეს — რუსული სცენარი, „გაზპრომზე“ საუბარი და სხვა, რამაც არ გაჭრა. ამის შემდეგ მათ ჩათვალეს, რომ დარჩათ ერთადერთი ვარიანტი, მოეძებნათ ისეთი თემა, რომელიც საზოგადოებაში, ოპოზიციურ პარტიებში გამოიწვევდა თანადგომას და ქვეყნის გარეთ რეზონანსს. დარჩა „რუსთავი-2“-ის თემა. დასავლეთიდან სიტყვის თავისუფლებისთვის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია, მაგრამ ქვეყნის შიგნით პროცესები ისე არ წავიდა, როგორც ისინი ვარაუდობდნენ. თუ პროცესი მშვიდ გარემოში წავიდოდა, აქ არაფერი არ მოხდებოდა. გვარამიასა და სააკაშვილის საუბარი არ არის თავისუფალი მედიის წარმომადგენლის საუბარი პოლიტიკოსთან. საუბრის ინტონაციაში იგულისხმება, თუ ვინ ვის ელაპარაკება. შესაბამისად, ცხადია, რომ მათი მიზანი იყო ასეთი — როგორმე გამოეყვანათ ხელისუფლება წონასწორობიდან. თუ ხელისუფლება შეცდომას დაუშვებდა და სპეცრაზმით შევარდებოდა „რუსთავი-2“-ში, ეს თუ დიდ რეზონანსს არ გამოიწვევდა ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ სერიოზული რეაქცია მოჰყვებოდა.

არის კიდევ ერთი რამ. შეუძლებელია, სააკაშვილსაც არ სცოდნოდა, რომ არსებობდა ძალიან დიდი ალბათობა იმისა, რომ მისი საუბარი გვარამიასთან და ბოკერიასთან, ვგულისხმობ საუბრის შინაარსს, ცნობილი გახდებოდა სპეცსამსახურებისთვის. შესაბამისად, ბუნებრივად ჩნდება კითხვა — რატომ დაიწყო მან საუბარი მოვლენათა რევოლუციური გზით განვითარებაზე ტელეფონით? რევოლუციები ტელეფონით ხომ არ ხდება? რატომ არ გაითვალისწინა, რომ ბარიკადებზე, „ბოევიკებზე“ საუბარი შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო არა მარტო მის, არამედ ბოკერიასა და გვარამიას წინააღმდეგ? ჩემი აზრით, საქმე ისაა, რომ სწორედაც რომ გაითვალისწინა. ეტყობა, ჩათვალა ასე, — თუ ხელისუფლება ამაზე ავარდებოდა, პირველ რიგში, უნდა დაეპატიმრებინათ ბოკერია და გვარამია. ჩემი აზრით, ამ სატელეფონო საუბრებში ასეთი მცდელობა აშკარად ჩანს. ამას დასავლეთში სერიოზული აჟიოტაჟი მოჰ ყვებოდა. საბედნიეროდ, ხელისუფლებამ ძალიან მშვიდად იმოქმედა და ეს პროცესი წაიყვანა ისე, რომ ქვეყანას პრობლემები არ შეჰქმნია. თუმცა, ვფიქრობ, რომ „ნაციონალების“ მხრიდან ხელისუფლების პროვოცირების მცდელობები მომავალი წლის არჩევნებამდე და არჩევნებზეც გაგრძელდება.

— იურისტები ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, სასამართლომ უნდა მიიღოს თუ არა უკრაინულ მედიაში გავრცელებული ჩანაწერები მტკიცებულებად, მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, ხელისუფლება, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ უუნაროსა და უნიათოს ეძახდა, არც ისე უუნარო აღმოჩნდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილმა „ნაციონალები“ პოლიტიკურად ისე გააშიშვლა, როგორც ცოცხლად გაპუტული ქათამი. მომხდართან დაკავშირებით ბევრი პარალელს ავლებს 2007 წელს „იმედში“ განვითარებულ მოვლენებთან. რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ პოლიტიკურ პროცესს შორის?

— თავისთავად, პატარკაციშვილისა და ივანიშვილის მოღვაწეობა ქართულ პოლიტიკაში საინტერესო თემაა ნებისმიერი პოლიტიკური მკვლევარისთვის, ვისაც ამის დრო და საშუალება აქვს. ირივენი არიან საქართველოს მკვიდრები, ორივემ კაპიტალი დააგროვა რუსეთში, ორივე წამოვიდა იქედან და გახდა საქართველოში პოლიტიკური პროცესის მონაწილე. მიუხედავად ამისა, არა მგონია, რაიმე მსგავსება იყოს იმ პროცესებს შორის, რომელიც ეხება 2007 წელს „იმედში“ და 2015 წელს „რუსთავი-2“-ში განვითარებულ პროცესებს.

„იმედში“ მოხდა ძალადობრივი შეჭრა, რაც თვალნათელი იყო. ახლა კი საუბარია იმაზე, რომ „რუსთავი-2“-ში უნდა შეიცვალოს მესაკუთრე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სარედაქციო პოლიტიკაში ცვლილებები. ამიტომ, პრობლემები სრულიად განსხვავებულია. პოლიტიკური პროცესიც, შესაბამისად. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ გაცილებით უკეთ წაიყვანა საქმე, ვიდრე 2007 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ. ეს არის ის, რაც ამ პროცესებს მნიშვნელოვნად განასხვავებს.

— სააკაშვილის მოქმედებებთან დაკავშირებით თქვენ სრულიად ლოგიკური მოსაზრებები გამოთქვით. ამ თემაზე გია ნოდიამ სოციალურ ქსელში ასეთი აზრი გამოთქვა — „სააკაშვილი „ნაცმოძრაობის“ ძლიერი მხარეცაა და სისუსტეც. პარტიას იმიჯის განახლება სჭირდება. ამას კი ლიდერის გამოცვლა უნდა. პარტიას სხვა ქვეყნიდან ვერ მართავ. ლიდერის დეფიციტი პარტიას აშკარად ეტყობა“. თქვენ როგორ შეაფასებდით გია ნოდიას ამ შეფასებას იმის გათვალისწინებით, რომ ბატონ გიას „ნაციონალების“ მიმართ სიმპათიები რომ აქვს, არც არასოდეს დაუმალავს...

— იგი, სწორედაც რომ როგორც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი, იმას ლაპარაკობს, რაც აუცილებელია. „ნაცმოძრაობა“ ვერ მოახდინა რებრედინგი. ძალიან გულწრფელად ვამბობ — მათ რომ 2012 წელს არჩევნებში დამარცხების შემდეგ მოქმედების სხვაგვარი სტრატეგია აერჩიათ, არ დარჩენილიყვნენ ისეთივე აგრესიულები და შემტევი, როგორც დღეს არიან, მათი საქმე გაცილებით უკეთესად იქნებოდა. როცა „ნაცმოძრაობა“ სიტყვის თავისუფლებაზე ხმამაღლა ლაპარაკობს, ნორმალურ ადამიანს უცებ „იმედი“ ახსენდება და თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, რადგან მათგან სიტყვის თავისუფლებაზე საუბარს ვერ მიიღებს. სამწუხაროდ, ასეთი თემა ძალიან ბევრია და მათ ეს თემები ჰქონდათ გასააზრებელი და სტრატეგიაც შესაბამისად ასაგები, მაგრამ მათ ამის გაკეთება არ მოისურვეს.

საინტერესო აქ სხვა რამაა. რატომ ვერ ახერხებს „ნაცმოძრაობა“ სააკაშვილისაგან გათავისუფლებას? ვფიქრობ, „ნაციონალები“ ლიდერის პრობლემას როგორმე მოაგვარებდნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უფრო არა ლიდერის, არამედ ფინანსების პრობლემაა, ანუ იმის, თუ ვინ განაგებს მათ ფინანსებს. ვფიქრობ, ისინი სააკაშვილს ვერ იშორებენ. ბატონი გია სწორ დასკვნას აკეთებს. არა მგონია, რომ სააკაშვილი დღეს „ნაციონალების“ ძლიერი მხარე იყოს, მაგრამ სუსტი და დამაბრკოლებელი რომ არის, სულ უფრო ცხადი ხდება. მაგრამ, ახლა უკვე საკმაოდ გვიანაა რაიმეს შეცვლა. ამიტომაც ვფიქრობ — „ნაციონალები“ არჩევნებამდე დარჩენილ ეტაპს ისევ ჩვეულ სტილში და უკვე განსაზღვრული სტრატეგიით გააგრძელებენ. მხედველობაში მაქვს ხელისუფლების რამენაირად პროვოცირება და იმის მიღწევა, რომ მან „ნაციონალების“ წინააღმდეგ უხეში ძალა გამოიყენოს.

— იუსტიციის მინისტრმა თეა წულიკიანმა განაცხადა, რომ სამინისტრომ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურა დაიწყო. სპიკერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა — „სააკაშვილს ვერ შეუნარჩუნდება ის, რასაც კონსტიტუცია კრძალავს. თავის მხრივ სააკაშვილმა ბრძანა — „რამდენჯერ უნდა წამოვეგოთ რუსულ სპეცსამსახურებს“... „მოქალაქეობის ჩამორთმევით ივანიშვილი არჩევნებისკენ გზას მიკეტს“... ამ ამბავში უცნაური სხვა რამაა, ეს ჩანაწერი რომ არ ყოფილიყო, ოდესის გუბერნატორის საქართველოს მოქალაქეობის საკითხი დღის წესრიგში არ დადგებოდა?

— ეს საკითხი დღის წესრიგში კონსტიტუციიდან გამომდინარე, თავიდანვე ავტომატურად დადგა, როგორც კი სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო. სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობის მიღებაზე განცხადება საჯარო სივრცეში გააკეთა, მაგრამ სახელმწიფო გადაწყვეტილებას განცხადების საფუძველზე ვერ მიიღებდა. მაშინვე თქვა იუსტიციის მინისტრმა, რომ ამას სჭირდება პროცედურები, ანუ უკრაინის შესაბამისი უწყებიდან დასტური, რომ სააკაშვილმა მართლაც მიიღო უკრაინის მოქალაქეობა. როგორც წულუკიანმა თქვა, ეს დასტური თბილისში უკვე მიღებულია და, შესაბამისად, პროცესი დაიწყო.

განცხადებები, რომ სააკაშვილს ვინმე ქართულ პოლიტიკაში გზას უკეტავს, პიარია და მეტი არაფერი. პიარია თუნდაც იმისთვის, რომ მოხდეს მოქალაქეობასთან დაკავშირებით ივანიშვილთან პარალელის გავლება. ივანიშვილთან მიმართებაში ის კი არ იყო მთავარი, რომ მას ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა, არამედ ის, თუ რატომ ჩამოართვეს მას საქართველოს მოქალაქეობა. მისი ორმაგი მოქალქეობა წინა ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა ივანიშვილმა პოლიტიკაში მონაწილეობა მოისურვა.

— ბევრი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელისუფლება ქვეყნის დასავლელ პარტნიორებთან არასაკმარისად მუშაობს. კერძოდ, რატომ არ მიეწოდათ ჩანაწერების მასალები იგივე ევროპის სახალხო პარტიას, ევროსაბჭოს, დიპკორპუსს?

— არ ვიცი, მიეწოდათ, თუ არ მიეწოდათ. ამაზე ხმამაღალი განცხადება არავის გაუკეთებია. ჩემი აზრით, ამ ჩანაწერებზე მაინც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, მიუხედავად იმისა, რომ ბოკერიამ და გვარამიამ მათი ავთენტურობა აღიარეს. სულაც არაა გამორიცხული, რომ მათ ეს აღიარება გადათქვან. როდესაც ძიება ექსპერტიზას ჩაატარებს, ამის შემდეგ მისი შედეგები ყველა ჩვენ პარტნიორს, ევროსაბჭოს, დიპკორპუსს და იგივე ევროპის სახალხო პარტიას უნდა მიეწოდოს. მე ვუერთდები ამ საკითხის დამსმელებს, მაგრამ მაინც იმედს ვიტოვებ, რომ თქვენს მიერ ნახსენებ ყველა ჩვენს პარტნიორს, მომხდარის შესახებ ამომწურავი ზეპირი ინფორმაცია მიეწოდათ.

— შუალედური მაჟორიტარული არჩევნები საგარეჯოსა და მარტვილის რაიონებში „ქართული ოცნების“ კანდიდატების გამარჯვებით დასრულდა. ხმაური მოყვა საგარეჯოში ჩატარებულ არჩევნებს, სადაც ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი და „ქართული ოცნების“ კანდიდატი თამარ ხიდაშელი? თქვენ როგორ შეაფასებდით არჩევნების შედეგებს და საგარაუდოდ, რა გავლენას მოახდენს მისი შედეგები შიდა პოლიტიკაზე?

— ვფიქრობ, ყველაფერი ჩაჯდა იმ ჩარჩოებში, რაც საქართველოში არჩევნების ჩატარების ტრადიციაშია. ყველა ხელისუფლების პირობებში შუალედურ არჩევნებში მმართველ პარტიას სხვადასხვა მიზეზთა გამო კონკურენტი უბრალოდ არ ჰყავს. ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ შუალედურ არჩევნებზე საკმაოდ დაბალია აქტიურობა. არჩევნებში გამარჯვებით დაინტერესებულია ხელისუფლება, რომლის კანდიდატიც ტრადიციულად მონაწილეობს და აქტიურობენ არჩევნებში მონაწილე კონკრეტული კანდიდატის მხარდამჭერები. ანუ, კონკურენციაა ხელისუფლების პარტიულ აქტივსა და ოპოზიციური კანდიდატის პარტიულ აქტივს შორის.

ისიც ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას ნებისმიერ რაიონში ძლიერი პოლიტიკური აქტივი ჰყავს, ვიდრე ოპოზიციას. შესაბამისად, მე არც მახსოვს შემთხვევა, რომ შუალედურ არჩევნებში რომელიმე ოპოზიციურ კანდიდატს მოეგოს. ოპოზიციისთვის ამგვარ არჩევნებში მონაწილეობა საკუთარი ძალების მოსინჯვას ემსახურება. როცა ამ არჩევნებს ოპოზიციურმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, მე მაშინაც ვთქვი, რომ ბოიკოტის მიზეზი გახლავთ ის, რომ მათ არჩევნების მოგების შანსი პრაქტიკულად არა აქვთ. ასეც მოხდა. ამიტომ, მომხდარში ტრაგედიას ვერც „პატრიოტთა ალიანსის“ და ვერც „ქართული ოცნების“ მხრიდან ვერ ვხედავ.

კობა გენდელიანი

◎ დავა

ვალის ნაწილი ვალში რომ გაიქვითოს...

იმის მიუხედავად, რომ დედაქალაქის გაზმომარაგების მონოპოლისტ კომპანიას „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ კონკურენტი არა ჰყავს, მომხმარებლებისგან კი საყოფაცხოვრებო გაზის საფასურის ამოღება, წლების წინათ შემოღებული „დრაკონული მეთოდების“ წყალობით, ფაქტობრივად, ასპროცენტიანია, მას კრედიტორების მიმართ საკუთარი ვალების გამო გამუდმებული პრობლემები აქვს.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ვალების გამო სემეკმა სპეციალური მმართველობა თავდაპირველად 2009 წლის მარტში დანიშნა. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ეს მოქმედება გაზგამანაწილებელი უცხოური კომპანიის 80 მილიონი ლარის ოდენობის კრედიტორულმა დავალიანებამ გამოიწვია.

ახლა კი, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მფლობელი კომპანიის მენეჯმენტში თავის წარმომადგენელთა დაბრუნებას კატეგორიულად ითხოვს. მისი განცხადებით, თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ის მკვეთრ ზომებს მიმართავს, კერძოდ, სასამართლოში სარჩელს შეიტანს, ანდა, სულაც, ინვესტიციას გაიტანს.

გაზგამანაწილებელი კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ცოტა ხნით წინათ, მისი თხოვნის საფუძველზე, საერთაშორისო იურიდიულმა ფირმამ „ბეიკერ ენდ მაკკენზიმ“, საქართველოს მხარეს წინასაარბიტრაჟო წერილით მიმართა, რომლითაც საინვესტიციო დავის მოსაწესრიგებლად შესაბამისი მოლაპარაკებების დაწყების მოთხოვნა დააყენა.

მასში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 2006 წელს, სს „ყაზტრანსგაზსა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, დედაქალაქისა და მიმდებარე სოფლების ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველსაყოფად, ყაზახური კომპანიის შვილეული „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ შეიქმნა. 2006-2009 წლებში, დედაკომპანიამ, „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად, ასევე თბილისის გაზმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებლად, 130 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განხორციელა.

ამასთან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2009 წლის 16 მარტის განჩინებით, დაკმაყოფილდა სს „ყაზტრანსგაზის“ 100-პროცენტიან მფლობელობაში მყოფი შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა ამ უკანასკნელში სპეციალური მმართველობის დანიშვნის შესახებ, რის შედეგად „ყაზტრანსგაზი“ შვილეული კომპანიის საქმიანობაში მონაწილეობას ვერ იღებს. ყაზახეთის მხარის აზრით, **„საქართველოს უფლებამოსილი ორგანოების აღნიშნული ქმედებით ირღვევა უცხოური ინვესტორის უფლებები, რომელთა დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ინვესტიციების დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებითაა გათვალისწინებული“.**

„ყაზტრანსგაზის“ ხელმძღვანელობა იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს მხარე აღნიშნულ საკითხში კონსტრუქციულ პოზიციას დაიკავებს და წინასაარბიტრაჟო პროცედურების გავლის შედეგად დავა ორივე მხარისთვის მისაღები შედეგით გადაწყდება. მაგრამ, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხსენებულ განცხადებაში, სხვა მეტად საგულისხმო პასაჟიცაა.

„...თუ წინასაარბიტრაჟო დარეგულირებით დავა არ მოგვარდება, „ყაზტრანსგაზი“ საინვესტიციო საარბიტრაჟო გარჩევას დაიწყებს“. შემდეგ კომპანიის განცხადებაში საკუთარი პოზიციის იურიდიული საფუძველია მითითებული, მათ შორის ენერგეტიკული ქარტია, ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის თაობაზე ყაზახეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის დადებული შეთანხმება და სხვ.

იმ შემთხვევაში კი, თუ სს „ყაზტრანსგაზის“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, იგი მოითხოვს ზარალის ანაზღაურებას არანაკლებ განხორციელებული ინვესტიციების თანხის ოდენობისა, აღნიშნულია ყაზახური კომპანიის ოფიციალურ განცხადებაში.

იმაში, რომ საქმიანი ურთიერთობების პროცესში გარკვეული დავები წარმოიშვება ხოლმე, გასაკვირი არაფერია, ამდენად ეს შემთხვევაც რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად არ უნდა აღიქვათ, ახლა საქმე სათანადო პროცედურების შესაბამისად განიხილება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წარმოშობილი დავის წინაპირობა ის გახლავთ, რომ **ყაზახეთმა, რომლის მიმართ საქართველოს დაახლოებით 100 მილიონი დოლარი ვალი აქვს, მისი ნაწილის „ყაზტრანსგაზის“ ვალში გაქვითოს. ამ საკითხზე მოლაპარაკებები დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობს, თუმცა კი ყაზახეთის მხარე აქამდე ამ პირობას არ თანხმდებოდა.**

თუ როგორ გადაწყდება საქმე ამ ჯერზე, ძნელი სათქმელია. ამასთან აღსანიშნავია, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ თავის დავალიანებას უკვე დიდი ხანია, არ ისტუმრებს, არადა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საურავის სახით, მთლიანი თანხის 0,05 პროცენტს იხდის და ამ ხნის მანძილზე მარტო ამ კუთხით 30 მილიონ ლარზე მეტი აქვს დაფარული.

ოთარ ტურაბელიძე

◎ თავისებურება, რომელიც ქართულს სხვებისგან გამოარჩევს

„თუ გსურთ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მფლობელი გახდეთ, გახდებით კიდეც...“

მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, სადაც ყველაზე მეტი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა. პირველ ადგილზე ამ მხრივ ჩინეთია, სადაც 2 940 უმაღლესი კატეგორიის სასტუმრო აქვთ, მეორე ადგილზე მოდის თურქეთი, სადაც 800-მდე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, ხოლო მესამეზე — მექსიკა — 670 სასტუმროთი. როგორც ჩანს, თანამედროვე სასტუმროების შესაფასებლად 5 ვარსკვლავი საკმარისი სულაც არ არის და ამის მაგალითად დუბაიში მდებარე სასტუმრო „ბურჯ-ალ-არაბი“ კმარა, რომელსაც 7 ვარსკვლავი აქვს მინიჭებული. უმაღლესი კატეგორიის სასტუმროების სიმცირეს არც ჩვენ ვუჩივით, მათი რიცხვი საკმარისია როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

რეალურად, რამდენი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროა დღეს საქართველოში? როგორც სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელმა შალვა ალავერდაშვილმა გვითხრა, ამის დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

— შეიძლება ითქვას, რომ ეს ვირტუალური რეალობაა, რადგან საქართველოში არ არსებობს სტანდარტი, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი კატეგორიის — 4 ან 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო. პირველი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც ქართველებმა ააშენეს, არის „ჯორჯიან პალასი“ ქობულეთში. ვამაყობ, რომ მეც დიდი წვლილი მაქვს შეტანილი მის მშენებლობაში. ამ სასტუმროს 5-ვარსკვლავიანის სტატუსი საერთაშორისო კომპანიებმა მიანიჭეს, კერძოდ, იტალიელები ჩამოვიდნენ და უმაღლესი სტანდარტების მიხედვით შეაფასეს. საქართველოში მოქმედებს სხვა 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებიც, რომლებიც ძირითადად უცხოელების აშენებულია, მაგალითად, „რედისონი“ ან ბათუმის „ჰილტონი“. ეს წოდება სხვებსაც აქვთ, მაგრამ სასტუმროების უმრავლესობას 5-ვარსკვლავიანი პირობითად აქვს მინიჭებული: დავუშვათ, მე მინდა მქონდეს 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, ჩამოვკიდებ შესაბამის აბრას და ვერავინ შემედავება, რომ ის 5-ვარსკვლავიანი არ არის, რადგან ქვეყანაში საამისო სტანდარტი არ არსებობს.

— დავუშვათ, თურქებმა ააშენეს 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო საქართველოს რომელიმე ქალაქში, მაშინ?

— ეს იქნება თურქული 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, ანუ მათი სტანდარტებით აგებული. 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო ბრიტანეთში სულ სხვაა და თურქეთში — სხვა. ეს იმიტომ, რომ ყველა ქვეყანას თავისი სტანდარტი აქვს დაწესებული. არსებობს ასეთი ორგანიზაცია „ჰოტრეკი“, რომელშიც 14 ქვეყანაა გაერთიანებული. ამ ქვეყნებში აგებულ სასტუმროებს შესაბამის კატეგორიას სწორედ ეს ორგანიზაცია ანიჭებს. „ჰოტრეკის“ წევრი არ არის იტალია და საფრანგეთი, რომლებსაც თავისი სტანდარტები აქვთ. ყველა ქვეყანას აქვს ასეთი სტანდარტები და ამის მიხედვით ანიჭებს შესაბამის სტატუსს მის ტერიტორიაზე არსებულ სასტუმროებს. ამიტომ, ჩვენ შეიძლება გვესტუმროს ინგლისის მოქალაქე და თქვას, რომ სასტუმრო, სადაც ის დაბინავდა, რეალურად 5-ვარსკვლავიანი არ არის, მაგრამ შეიძლება ჩამოვიდეს თურქი და თქვას, რომ ის 6-ვარსკვლავიანია.

— და მაინც, რამდენი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროა საქართველოში?

— ამის თქმა შეუძლებელია, რადგან ვიცაც უნდა 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მფლობელი გახდეს, კიდეც ხდება. არ არსებობს ორგანო, რომელიც ამ საკითხს მოაწესრიგებს, ამიტომაც არ გვაქვს ზუსტი მონაცემები, რამდენია 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რამდენი 3 ან 4-ვარსკვლავიანი. ვიდრე ეს სტანდარტები არ დადგინდება, ზუსტად ვერაფერს ვიტყვით. წესით, ეს ყველაფერი უნდა მოაწესრიგოს სტანდარტიზაციის კომიტეტმა, რომელმაც ყველა სასტუმროს სტანდარტი და მუშაობის სპეციფიკა უნდა შეიმუშაოს. ჩვენ კი, კანონში იმის განმარტებაც არა გვაქვს, თუ რა არის ოტელი, საოჯახო სახლი, ჰოსტელი და ა.შ... ამიტომ, შეიძლება სასტუმროს 5-ვარსკვლავიანი ერქვას, მაგრამ სინამდვილეში ორი ან სამვარსკვლავიანი იყოს.

— უცხოეთში ამ მხრივ მკაცრი სტანდარტები აქვთ?

— საკმაოდ, მაგრამ არის გამონაკლისებიც. მაგალითად, საფრანგეთში ძალიან ბევრი სასტუმროა, რომელიც ისე პატარაა, რომ შეიძლება გაგიკვირდეთ, როგორ შეიძლება ეს სასტუმრო 5-ვარსკვლავიანი იყოს. ასეთი სასტუმრო შეიძლება ვერ მივაკუთვნოთ მსოფლიოს საუკეთესო სასტუმროების რიცხვს, მაგრამ მაინც 5-ვარსკვლავიანია, რადგან გამორჩეულ ადგილზე მდებარეობს და კარგად არის მოწყობილი. შეიძლება ერთი ოთახი იყოს, მაგრამ უნიკალურ ადგილას იყოს აშენებული. ბევრი ტურისტი შეიძლება ასეთ სასტუმროში იმიტომ დაბინავდეს, რომ იქ რომელიღაც დიდი მწერალი, ან მხატვარი ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სულაც არ იყოს ფართო შენობა ულამაზესი ხედებით, მაინც 5-ვარსკვლავიანი იყოს.

— ესე იგი, სასტუმროს სტატუსის განსაზღვრისას ადგილმდებარეობა ყველაზე მთავარია?

— ადგილმდებარეობა არის პირველი და უმთავრესი ღირსება, მეორე - მომსახურების დონე და მესამე — შენობანაგებობა.

— ცნობილია, რომ დუბაიში არის 7-ვარსკვლავიანი სასტუმრო „ბურჯ-ალ-არაბი“. რატომ მიანიჭეს მას ეს კატეგორია?

— ის დუბაისთვის არის 7-ვარსკვლავიანი. მიუხედავად იმისა, რომ „ბურჯ-ალ-არაბი“ საუკეთესო სასტუმროა, ინგლისელისთვის ან გერმანელისთვის ის შეიძლება 4-ვარსკვლავიანი იყოს. ევროპაში ამ სფეროში სულ სხვა სტანდარტებია, აზიაში — სხვა და ამერიკაში — სულ სხვა. შეიძლება მე ხაშურში, ან თელავში ავაშენო ევროპული სტანდარტების მქონე 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, მაგრამ ვენეციაში ან რომის ძველ უბანში მდებარე პატარა სასტუმრო ტურისტებისთვის გაცილებით საინტერესო იყოს.

— არის მოსაზრება, რომ საქართველოში ძირითადად 3-ვარსკვლავიანი სასტუმროები უნდა აშენდეს, რადგან ამით საშუალო შეძლების მქონე ტურისტებს მოვიზიდავთ. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— ჩემი აზრით, 3-ვარსკვლავიანიც საჭიროა და 5-ვარსკვლავიანიც. ხუთვარსკვლავიან სასტუმროს თავისი დადებითი მხარეები აქვს: მას 5-ვარსკვლავიანი კლიენტურა ჩამოჰყავს, რომელიც ქვეყანას ათვალიერებს და ფულსაც ხარჯავს, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ვიდრე ქვეყანას არა აქვს სტანდარტები, რომლითაც სასტუმროების მომსახურების დონე განისაზღვრება, ამ თემაზე მსჯელობა ძალიან რთულია.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ პოზიცია

ახლა, როგორ მოვიქცეთ?

24 წელი გავიდა მას შემდეგ რაც დამოუკიდებლობა მივიღეთ, მაგრამ დღემდე ვერ მივხედეთ იმ საქმეებს, იმ პრობლემებს, რომელთა მოგვარება ასე ჰაერივით სჭირდება დამოუკიდებელ სახელმწიფოს...

— არ შეგვიმუშავებია რეალობისთვის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია; პრობლემები არ დაგვიყვია პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად, რაც ასე აუცილებელია ძნელბედობაში მყოფი ერისთვის. აგრეთვე ვერავინ მოიცალა უახლესი წარსულსა და აწმყოში მომხდარი მოვლენების ანალიზისათვის; შეუმუშავებელი გვაქვს საგარეო პოლიტიკაც...

რატომ ვერ მოიცალა ქართველმა ხალხმა ზემოხსენებული პრობლემის გადასაჭრელად? — ამის პასუხიც იოლი მოსაძებნია. საბჭოთა კავშირში პლურალიზმისა და საჯაროობის გამოცხადების დღიდან პოლიტიკური სარბიელი საქართველოში მთლიანად დაიპყრეს ურაპატრიოტებმა, ხელმოცარულებმა, ავანტიურისტებმა და სხვადასხვა ჯურის საეჭვო ინდივიდებმა. დღემდე ვერ მოხერხდა პოლიტიკური სარბიელიდან შეუფერებელი ელემენტების განდევნა. მთელი ეროვნული ენერგია იხარჯება ხსენებული პრობლემის მოგვარებაზე. რასაკვირველია, 2012 წლის პირველმა ოქტომბერმა დიდი იმედები ჩაგვისახა, მაგრამ ამ იმედმაც მთლიანად ფრთები ვერ შეისხა, ვინაიდან ამოუძირკვავი დაგვრჩა სააკაშვილის რეჟიმის ფესვები. ამ ფესვებზე უმალვე იბარტყეს ალასანიას, კუკავას, ნათელაშვილის, „ახალი მემარჯვენეების“ და სხვათა პარტიებმა. არასამთავროებზე რომ არაფერი ითქვას — ისინი დაარსებიდან საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან.

ისედაც ბევრი გვყავს პოლიტიკური სარბიელიდან გასაყრელები და მათ რიცხვს კიდევ მიემატა პრეზიდენტი მარგველაშვილი. ყველა იმას გაიძახის, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეცდა ამ ინდივიდის შერჩევაში. მე კი სხვანაირად ვიტყოდი. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ამგვარი ქამელეონობა, პლასტელინობა, საძაგლობა, ორპირობა, რაც მარგველაშვილმა ჩაიდინა. თუმცა, ერთხელ კიდევაც წამოსცდა: „მე პლასტელინი ვარო“.

ბუნებრივია, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არმომხდარს ივანიშვილი ვერ წარმოიდგენდა. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანი ჯერარნახულს ვერ წარმოიდგენს. მაგალითად, ადამიანმა ზღვა თუ არ ნახა თუნდაც ნახატზე, იგი ზღვას ვერასოდეს წარმოიდგენს; თუ ლომი არ აქვს ნანახი (ნახატზე მაინც), ლომსაც ვერ წარმოიდგენს. ადამიანს შეუძლია მხოლოდ ნანახის გაზვიადებულად წარმოდგენა. მაგალითად, ჭიანჭველა შეიძლება წარმოიდგინოს სპილოს და კიდევ მეტი ზომის ცხოველად.

ზოგი იმასაც ამბობს, პრეზიდენტს უფლებები აქვს შეკვეცილი, უსაქმოდ ზისო. ნუთუ პრეზიდენტის საქმე არ არის სტატიის დასაწყისში აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ფიქრი? რომელი ერთი ჩამოვთვალო. ლამის არის ტელეჟურნალისტად იქცა და ერთი პოლიტიკური წინადადებაც კი არ დასცდენია. დიპლომატიურად საუბრობს, მაგრამ მისი დიპლომატია დაწყებითი სკოლის მოსწავლისთვისაც კი იოლი ამოსახსნელია. მარგველაშვილს ჰგონია ქართველი ხალხი ვერ იგებს მის საუბარში შეფარულ მზაკვრულ სურვილს, რომ ამ გზით სურს მისთვის მეტად შეუფერებელი პოსტის შენარჩუნება. რაკი თვითონ ვერ ხვდება იმას, რომ იგი გამოუსადეგარია პოლიტიკისთვის, მით უმეტეს, ასეთი მაღალი პოსტისათვის, ეს მისია უნდა იკისროს ქართველმა ხალხმა. ამბობენ ფილოსოფოსიაო. მაგრამ მაგის ფილოსოფოსობას ის დაიჯერებს, ვისაც ამ საგანზე წარმოდგენა არა აქვს.

იგრძნო რა, რომ ქართველი ხალხი მას დიდხანს არ აბოგინებს დაკავებულ პოსტზე, ყველა ღონეს მიმართავს ადგილის შესანარჩუნებლად.... მრჩევლებად მიიწვია ზემოხსენებული არასამთავრობოების წამომადგენლები, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების უმეცარი წარმომადგენლები, დაიძმაკაცა ინტეგრალური პოლიტიკის უცოდინარი ალასანია. აღარაფერს ვამბობ იმ გამონათქვამებზე, რაც მან ბოლო დროს საჯაროდ განაცხადა, ისედაც ყველამ კარგად გაიცნობიერა ამ გამონათქვამის მზაკვრული ჩანაფიქრი. ამასაც არ დასჯერდა მიიწვია ელჩები და შესთხოვა დახმარება: არიქა, კერძო ტელევიზიას ძველი მეპატრონე ითხოვს, რომ მას დაუბრუნდეს საკუთარი ქონება და მომეშველენითო. თუ ასე მოხდა თქვენს საყვარელ სააკაშვილს (მის ქმედებაში ასეთი აზრი გამოსჭვივის) პროპაგანდისთვის ტელევიზია ხელიდან გამოეცლება. რა უნდა ეპასუხათ ელჩებს დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე? — ზრდილობიანად ასე პასუხობენ: ჩვენ მომხრენი ვართ დემოკრატიის გზაზე დამდგარ საქართველოში ყველა ტელემაუწყებლის უფლებები დაცული იყოსო. გამორიცხული არ არის, რომ მარგველაშვილი სააკაშვილისაგან სისტემატურად იღებდეს მითითებებს. ამის გაცხადების უფლებას გვაძლევს ის, რომ ეგრეთ წოდებულმა ნაციონალებმა მარგველაშვილი უკვე გამოაცხადეს თავიანთ ფავორიტად.

„ჟურნალისტები“ აშკარად მარგველაშვილის მხარეზე არიან, მაგრამ უჭირთ იმის დამალვა, რომ ღარიბაშვილს მოსახლეობის 78% უჭერს მხარს, ხოლო მარგველაშვილს 22%.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, საფრანგეთის პრეზიდენტმა საფრანგეთში საქართველოს ელჩს თხოვნით მიმართა, დაეხმარე კერძო ტელევიზიის უკანონო მფლობელს ამ ტელევიზიის შენარჩუნების საქმეშიო. საქართველოს ელჩი მოთხოვნას ხომ არასერიოზულად მიიჩნევს. მაშ რატომ არის, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა მარგველაშვილის მეტად არასერიოზული ქმედება ნორმალურად მიიჩნიეს და ამის თაობაზე აჟიოტაჟი ატეხეს? მიპასუხოს, მაგალითად, მაგდა ანიკაშვილმა, რომელიც შეფარულად პროპაგანდას უწევს სააკისტებისა და მარგველაშვილის ქმედებას. რაღა გრიგოლია და რაღა ანიკაშვილი!

ასე არის თუ ისე, სააკაშვილის რეჟიმის ამოძირკვის პრობლემას დაემატა მეორე — მარგველაშვილის პოსტიდან გადაყენების პრობლემა.

ქართველმა ხალხმა, ასე ვთქვათ, სახალხო იმპიჩმენტი უნდა მოუწყოს მარგველაშვილს. ამისთვის საჭიროა, სრულიად საქართველოს საყოველთაო გამოკითხვა ჩატარდეს. შედეგი საშუალებას მოგვცემს, გამოინახოს გზა მის გადასაყენებლად. მარგველაშვილმა თვითონ გამოიაშკარავა საკუთარი თავი. ხომ გაგვიგონია: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

ქართველმა ხალხმა კი დასავლეთის სახელმწიფოებს ასე უნდა მიმართოს: ჩვენ ვერ ვიგუებთ ერის ინტერესების უგულებელმყოფელ სააკაშვილს და მის სატელიტ პარტიებს, აგრეთვე მარგველაშვილს, რომელიც აშკარად ქართველთმოძულე სააკაშვილის გზას დაადგა. თუ სურვილი გაქვთ, მათ გარეშეც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობის დამყარება!

ონისე მწარიაშვილი

დედამიწის ზურგზე

უკანასკნელი სუმატრული მარტორქა, რომელიც აშშ-ში ბინადრობს, გაიგზავნა ინდონეზიაში სამაშველო მისიით

სუმატრული რვა წლის 816 კილოგრამიანი მამალი მარტორქა სახელად ხარაპანი გადაიყვანეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც იგი ტყვეობაში დაიბადა, ინდონეზიაში, რათა გაანყოფიეროს სამიდან ერთ-ერთი დედალი მარტორქა და გადაარჩინოს თავისი სახეობა გაქრობისაგან.

გერმანიაში გარდაიცვალა ბერლინის კედლის დამანგრეველი გიუნტერ შაბოვსკი

1989 წლის 8 ნოემბერს შაბოვსკიმ განაცხადა აღმოსავლეთი გერმანიის მოქალაქეების უცხოეთში გამგზავრების ახალი თავისუფალი წესრიგის შესახებ. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როდის შევა ეს წესრიგი ძალაში, მან მოულოდნელად უპასუხა: „ახლავე, დაუყოვნებლივ“.

ავსტრალია თავისუფლდება რაინდობის მოძველებური ინსტიტუტისგან

ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საპატიო ჯილდოების ეროვნული ჩამონათვალიდან ამოიღონ რაინდისა და დამის ტიტულები. „რაინდებისა და დამების წოდება არ შეესაბამება განსხვავების ჩვენს თანამედროვე სისტემას“, — განმარტა ავსტრალიის მთავრობის ხელმძღვანელმა მალკოლმ ტერნბულმა.

თურქეთის მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა ვადამდელი არჩევნების შედეგების მიხედვით

თითქმის ყველა ხმის დაანგარიშების შედეგებით, თურქეთის მმართველმა პარტიამ მოაგროვა ხმების 49,4 პროცენტი. ეს უზრუნველყოფს უმრავლესობის 316 ადგილს პარლამენტში. პარლამენტში ასევე შედიან მემარცხენე ცენტრისტული სახალხო-რესპუბლიკური პარტია (ხმების 25,4 პროცენტი), ნაციონალური მოძრაობის ნაციონალისტური პარტია (11,9 პროცენტი), და პროქურთული ხალხთა დემოკრატიული პარტია (10,7 პროცენტი).

აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნებში ილჰამ ალიევის პარტიამ გაიმარჯვა

ცესკოს მონაცემებით, პრეზიდენტ ილჰამ ალიევის „ახალმა აზერბაიჯანმა“ 125-ადგილიან პარლამენტში 70 ადგილი მოიპოვა. არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა ყველა წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიამ და მთავრობა ოპონენტების დევნაში დაადანაშაულა. როგორც პარტია „მუსავატის“ ლიდერმა არიფ გაჯილიმ საგენტო „როიტერს“ განუცხადა, პარტიამ არჩევნებში მონაწილეობაზე იმის გამო თქვა უარი, რომ წინასაარჩევნო პერიოდში უამრავი დარღვევა დაფიქსირდა.

„ალ-ყაიდამ“ მოუწოდა „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებს გაერთიანდნენ რუსეთისა და დასავლეთის წინააღმდეგ

ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის აიმან ალ-ზავახირის ვიდეოჩანაწერი ამ მიმართულებით გაჩნდა ინტერნეტში 1 ნოემბერს. მან განაცხადა, რომ „ალ-ყაიდამ“ და „ისლამურმა სახელმწიფომ“ უნდა შეწყვიტონ დაპირისპირება და ერთობლივი ძალისხმევით ებრძოლონ რუსულ და დასავლურ აგრესიას.

A321-ის ეკიპაჟს უბედურების სიგნალი არ მიუწოდებია სახმელეთო სამსახურებისათვის

ანონიმურმა წყარომ, რომელიც იცნობს კაიროში გამოკვლევას, უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაღუპული რუსული თვითმფრინავის მეთაური მოითხოვდა სარეზერვო დაჯდომას ეგვიპტის დედაქალაქში. მისი სიტყვებით, ხომალდის მეთაურს არ მიუცია არანაირი უბედურების სიგნალი და არც ცდილობდა, შეეტყობინებინა უწესრიგობათა შესახებ.

◎ სამართალი

ოსი და აფხაზი მოქალაქეებისთვის გაცემულ რუსულ პასპორტებს ლეგიტიმაცია შეუსუსტდათ

ამის შესახებ რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა.

„უცნაური რამ ხდება რუსეთის ე.წ. მოქალაქეობასთან დაკავშრებით. 2008 წლამდე რუსული პასპორტები გაიცემოდა ვითომ რუსეთის ტერიტორიაზე — სოჭში, ვლადიკავკაზში. შესაბამისად, მათ ჰქონდათ მაღალი ლეგიტიმაცია, რადგან ის რუსეთის მოქალაქეების გამოდიოდა, მაგრამ დღეს ამ პასპორტებს გასცემენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რის გამოც მათი ლეგიტიმაცია შესუსტდა — ის უკვე უკანონო ტერიტორიებზეა გაცემული, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება და სადაც არ არის რუსეთის საკონსულოების წარმომადგენლობა. შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე გაცემული პასპორტები არის უკანონო“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვლმა.

მისივე ინფორმაციით, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მაცხოვრებლების უმრავლესობას, რომელთაც რუსული პასპორტები აქვთ, უკვე შეექმნა პრობლემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ინტერპრესი

პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გადაარჩენს ქვეყანას

გაუთავებელი პოლიტიკური კინკლაობა, მძიმე ეკონომიკური ვითარება და გაუსაძლისი სოციალური ყოფა ძალაუნებურად გვაფიქრებინებს განვლილი დამოუკიდებელი წლების წარუმატებლობაზე. 25 წლის წარუმატებლობაში „წლები“ არაფერ შუაშია, უბრალოდ გადატანითი მნიშვნელობით არის მოტანილი. თავიდათავი პოლიტიკაა, რამაც განაპირობა საქართველოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთის – წლებად დაყოფილის უნიათობა, არაპროფესიონალიზმი, ბერწობა. არადა, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან, პერსპექტიული განვითარების შანსი, ჩვენს ქვეყანას ჰქონდა.

საქართველო საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკა იყო, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, სპორტის, სხვა დარგებში. მოწინავე იყო „სხვაგვარად“ აზროვნებაშიც და იმაში, რასაც დამოუკიდებლად არსებობა ჰქვია. პირველები ვიყავით ყველაფერში, რაც თანამედროვე ენით რომ ვთქვათ „საპილოტე“ პროექტისთვის ანუ ქვეყნის დამოუკიდებლად განვითარებისთვის, პოსტსაბჭოთა სივრცეში შესაშური რომ უნდა ყოფილიყო.

უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ განხორციელდა, რაც მრავალ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზს უკავშირდებოდა. მათგან გამოვყოფდი პოლიტიკურ გაუნათლებლობას, მსოფლიო საკითხების უცოდინრობას, პოლიტიკურ თავხედობას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკოსთათვის საჭირო წინასწარმეტყველების უქონლობას.

ცხადია, ამ შემთხვევაში ნოსტრადამუსობა არ მაქვს მხედველობაში და ის წინასწარმეტყველება, საუკუნეებს რომ მოიცავს. მარტივი წინასწარმეტყველება, საშუალო შორსმჭვრეტელობა მაქვს მხედველობაში, ყველა პოლიტიკოსის, თუნდაც საშუალოს, უპირველესი მოვალეობა რომ უნდა იყოს. აი, სწორედ, ამ საშუალო შორსმჭვრეტელობის უქონლობის ბაცილით იყო და არის დაავადებული ქართული პოლიტიკა. აი, ამ შორსმჭვრეტელობის უქონლობამ გამოიწვია მრავალი უხეში გადაწყვეტილების მიღება, რომლებმაც დააქციეს ქვეყანა, გამოიწვიეს შიდა ომები, დააქუცმაცეს სახელმწიფო.

პოლიტიკურმა ახლომხედველობამ გამოიწვია ყოველივე და კიდევ იმან, ზემოთ რომ ვახსენე – უცხოეთის უცოდინრობამ. შევარდნაძეს, მაშინდელ პოლიტიკოსებს, თუნდაც დღევანდელს, ოდნავი წარმოდგენა რომ ჰქონოდათ და ჰქონდეთ იმ ევროკავშირში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შესახებ, საითკენაც ვითომ რომ მივდივართ, ავი თვალით არ შევხედავდით აფხაზთა ლიდერის არძინბას შემოთავაზებას – ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურის კონფედერაციულ ან ფედერაციულ მოწყობაზე.

კონფედერაცია, ესოდენ მიღებული ევროპასა თუ სხვაგან, მიუღებელი გამოდგა ქართული პოლიტიკისთვის და არა იმიტომ, რომ ქართული პოლიტიკა სიღრმისეულად იყო ან არის ჩახედული ევროპულ კონფედერაცია-ფედერაციაში, არამედ იმიტომ, რომ მან არაფერი იცოდა და იცის ამის თაობაზე. არ იცოდა და არც სწავლა უნდოდა. რაც მან იცოდა, იყო თბილისიდან ვერტიკალური მართვა - ავტონომიები, რომ უსიტყვოდ ემორჩილებიან თბილისს.

ქართულმა პოლიტიკამ ვერ განჭვრიტა, რომ ახალი, 21-ე საუკუნის დადგომამდე სულ რაღაც 10 წელიწადი იყო დარჩენილი, რომ მომავალი წლები დიდ სიახლეებსა და გარდაქმნებს მოიტანდა. „აქილევსის ქუსლობის“ პერიოდი დიდხანს გაგრძელდა. ის, არც დღეს არის დასრულებული. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ამ გადაულახავმა ბარიერმა, მყარად ჩაბუდებულმა, მოიტანა ის, რაც მოიტანა ანუ – არა, კონფედერაციას, ფედერაციას!

დიახ, უნიტარულ ქვეყანას! დიახ, ომს, ნგრევას! არა, დიპლომატიას, უბრალო ტვინის განძრევას, მაგიდასთან საკამათო საკითხების გადაწყვეტას! დიახ, დაპირისპირებას, მეზობელთან ჭიდილს! მეზობლის გულის გასახეთქად, შორეულთან, მის მტერთან ჩახუტებას.

ქართული პოლიტიკა დღესაც ვერ ხვდება, რომ შესაბამისი საფასურის გარეშე, „პოლიტიკური ქოლგის“ ქვეშ არავინ შეუშვებს. ვერ ხვდება, რომ საფასური დღეს თუ არა, ხვალ, მძიმედ დააწვება ქვეყანას, მომავალ თაობებს. თუმცა მხოლოდ დღევანდელი დღით მცხოვრებ პოლიტიკას, ეს ნაკლებად ადარდებს, ისე, როგორც 1992 წლის პოლიტიკას – აფხაზეთის რკინიგზის „გათავისუფლება“ რომ გაივლო გუნებაში. 2008 წლის პოლიტიკას – ქართული იურისდიქციის ძალით აღდგენა რომ გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთში.

საქართველო მალე ევროკავშირის წევრი, ნატოს წევრი გახდება, რითაც სამარადისოდ დაბრუნდება ევროპულ ოჯახში, რომელსაც ჟამთა უკულმართობამ დააშორა – ფიქრობს ქართული პოლიტიკა და არა მარტო ფიქრობს, ხალხსაც აფიქრებინებს უტოპიურ მომავალზე.

ქართული პოლიტიკა ვერა და ვერ ხვდება, რომ „ასოცირება“ წევრობა არ არის, არც „მაპობაა“ წევრობა ან „მაპზე“ უკეთესობა. ქართული პოლიტიკა ვერ ხვდება, რომ ევროატლანტიკოსი ცინიკოსები მას სათავისოდ იყენებენ, იახლოებენ, სხვას რომ არ ჩაეხუტოს, მაგრამ არ იხუტებენ. ქართული პოლიტიკა ვერ ხვდება, რომ ევროპისთვის ის მხოლოდ საჯილდაო ქვაა და არა ის, რომელთანაც მას (ევროკავშირს) ნამდვილად სურს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.

საქართველოს პოლიტიკოსობა ვერ ხვდება, რომ გაცილებით ევროპული (გეოგრაფიიდან გამომდინარე), გაცილებით ძლიერი მეზობელი ქვეყანა თურქეთი, ქრონიკულადაა დაავადებული ასოცირებული წევრობით და ასე იქნება მომავალშიც. არადა თურქეთის წვლილი გერმანული ეკონომიკის აღორძინებაში განუზომელია.

ბევრმა დაივიწყა, რომ თურქული „გესტარბაიტერობა“ თურქეთის ინიციატივით არ მომხდარა, გერმანული პოლიტიკის მოთხოვნით მოხდა. სწორედ იმ ისტორიულმა გერმანულმა ეკონომიკურმა აღორძინებამ აფიქრებინა თურქეთს (მე ვიტყოდი გულუბრყვილოდ), რომ მისი წვლილი სრულიად საკმარისია ევროკავშირში შესასვლელად.

გერმანიას, თურქი „გესტარბაიტერების“ მადლით შეპყრობილს, პირდაპირ არ შეეძლო, უარი მიეხალა თურქეთისთვის და სამადლოდ „ასოცირებული წევრობა“ შესთავაზა. იდგა 1964 წელი (ქართული პოლიტიკის გასაგონად).

თურქეთს პირდაპირ უარი არ უთხრეს, მაგრამ არც კარში შეუშვეს. მათაც ეგონათ (ქართველებივით) – კარი ღია იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ცხრაკლიტული გამოდგა. ევროპამ იფიქრა, იფიქრა და 35 წლის შემდეგ თურქეთს, ნაცვლად წევრობისა, კანდიდატობის სტატუსი შესთავაზა. 2006 წელს კი დაიწყო მოლაპარაკება გაწევრებასთან დაკავშირებით, რომელიც დღესაც „წარმატებით“ მიმდინარეობს, თუმცა „ფინიშის“ ვადის გამოუცხადებლად.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრების წინააღმდეგ გერ-

მანია და საფრანგეთი გამოდიან, რომლებიც აცხადებენ, რომ თურქეთი არ ასრულებს ბრიუსელის საშინაო დავალებას და ჰარმონიზაციაში არ მოჰყავს საკუთარი კანონმდებლობა. სინამდვილეში, თურქეთმა ყველა მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ...

მაშ, რაშია საქმე?

ევროკავშირში თურქეთის გაწევრება დაარღვევს კავშირის ძალთა ბალანსს. 70-მილიონიანი თურქეთი გახდება მეორე ძალა (გერმანიის შემდეგ), ხოლო 2020 წლისთვის, მოსახლეობის მატების შედეგად, ისეთივე, როგორც გერმანიაა. ეს, რომ არ მოხდეს, საფრანგეთმა, მაშინდელი პრეზიდენტის სარკოზის სახით, ასეთი განცხადება გააკეთა: „ევროპას აქვს გარკვეული საზღვრები და აქედან გამომდინარე ყველა ქვეყანას არ შეუძლია გახდეს სრულუფლებიანი წევრი. ეს, თურქეთსაც ეხება. მისი ადგილი ევროკავშირში არ არის. გაუთავებელმა გაფართოებამ შეიძლება კავშირის დაშლა გამოიწვიოს“.

> **ქართული პოლიტიკა ვერა და ვერ ხვდება, რომ „ასოცირება“ წევრობა არ არის, არც „მაპობაა“ წევრობა ან „მაპზე“ უკეთესობა. ქართული პოლიტიკა ვერ ხვდება, რომ ევროატლანტიკოსი ცინიკოსები მას სათავისოდ იყენებენ, იახლოებენ, სხვას რომ არ ჩაეხუტოს, მაგრამ არ იხუტებენ. ქართული პოლიტიკა ვერ ხვდება, რომ ევროპისთვის ის მხოლოდ საჯილდაო ქვაა და არა ის, რომელთანაც მას (ევროკავშირს) ნამდვილად სურს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.**

პირდაპირი იყო ევროკავშირის ყოფილი პრეზიდენტი რომპეიც: „თურქეთი არ არის ევროპის ნაწილი და არც არასდროს იქნება“. რომპეის გეოგრაფიაც ჰქონდა მხედველობაში. საინტერესოა, გეოგრაფია არ იმოქმედებს საქართველოსთან მიმართებაში?

ევროკავშირ-თურქეთის, თურქეთ-გერმანიის ისტორიულმა ურთიერთობებმა, თურქეთის ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით, სერიოზული გავლენა იქონია გერმანიის კანცლერის თურქეთში ვიზიტის დროს. განაწყენებულმა ერდოღანმა საერთოდ არ გამართა მასთან მოლაპარაკება და პროტოკოლურ მასპინძლობას დასჯერდა, თანაც მერკელის თურქეთიდან გამგზავრების წინ. მოლაპარაკების წარმართვა თავის პრემიერს გადააბარა.

მერკელის თურქეთში ვიზიტი იძულებითი იყო. ასეულ-ათასობით ლტოლვილმა, ევროკავშირს რომ მიაწყდა, აიძულა კანცლერი, ჩასულიყო თურქეთში თხოვნით – შეაჩერეთ თქვენს ტერიტორიაზე დაბანაკებული სირიელი ლტოლვილები და ნ მილიარდ ევროსაც მოგცემთ, თან სასწრაფოდ ვიფიქრებთ თქვენს ევროკავშირში გაწევრებაზე, თურქეთის მოქალაქეებისთვის ევროკავშირში შესასვლელ ვიზებს გავაუქმებთ, ოღონდ ლტოლვილები არ დაგვანახოთო.

თურქეთში მყოფმა მერკელმა მასპინძლებს აღუთქვა ევროკავშირში სწრაფი გაწევრების პროცესის დაწყება, თუმცა არა წევრობა – მის ნაცვლად ე.წ. პრივილეგირებული პარტნიორობა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება წევრობას: „თქვენი სრულუფლებიანი წევრობა ჩვენთვისაც მისაღებია, მაგრამ არა ამჯერადო“. რაზეც მასპინძლებმა მიუგეს – „ჩვენ ასეთ ვარიანტს არ განვიხილავთ, ვინაიდან მას იურიდიული საფუძველი არა აქვს. ჩვენ ნაწყენებიც ვართ, ვინაიდან დროდადრო გვთავაზობთ არარსებულ ვარიანტებს“.

და ეს ხდება თურქეთთან მიმართებაში, თანაც მაშინ, როდესაც ევროკავშირს უფრო სჭირდება თურქეთი, ვიდრე თურქეთს ევროკავშირი. რისი იმედი აქვს საქართველოს? რაში სჭირდება ევროკავშირს საქართველო? – არც არაფერში, თუ არა საკუთარი ჩაწოლილი ჭარბი პროდუქციის გასაღებაში, რომელიც დიდ პრობლემებს შეუქმნის სამამულო წარმოებას და კიდევ დაპირისპირებულ რუსეთთან პოლიტიკურ თამაშში.

ქართულმა პოლიტიკამ ვერა და ვერ განჭვრიტა, რომ ევროატლანტიკურ სივრცეს ისე სჭირდება საქართველო, როგორც ძროხას უნაგირი. ევროკავშირი ყოველთვის ჩაგვთვლის „ველურად“, როგორც თურქეთს, მეორეხარისხოვნად, როგორც ბულგარელებს და რუმინელებს, არადა ისინი რახანია, ევროკავშირის წევრები არიან.

ქართულმა პოლიტიკამ ვერაფრით განჭვრიტა, რომ დსთ-ში ყოფნა გაცილებით სჯობდა არყოფნას; რომ დსთ-ს ნამდვილი და არაფორმალური წევრი, ომს ვერ ატეხდა საკუთარ თავთან და თუ ატეხდა, „დასაგრილებელი“ წამალიც უცბად გამოიძებნებოდა; რომ დსთ-ს წევრობა უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა ტერიტორიული საკითხების მოგვარების საქმეში.

სამაგალითოდ შორს წასვლაც არ არის საჭირო, მთიანი ყარაბახის საკითხიც გამოდგება. მართალია, ამ რეგიონთან მიმართებაში რახანია, მიმდინარეობს აზერბაიჯან-სომხეთის მოლაპარაკება, შუამავლების მეშვეობით, მაგრამ საბოლოო წერტილი ჯერ არ დასმულა, ისეთი, როგორიც ჩვენ დავსვით 2008 წელს.

რუსეთთან მიმართებაში აზერბაიჯანს უფლება აქვს, იყოს განაწყენებული, მტრად გადაკიდებული, მაგრამ იცის ერთი რამ – გადაკიდებით, გაბუტვით ან დსთ-დან გასვლით საქმე არ გაკეთდება. აზერბაიჯანმა იცის, რომ პრაგმატული პოლიტიკა, მის მიერ წარმოებული რუსეთის მიმართ, მისთვის გაცილებით მომგებიანია, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში თვალნათლივ შეინიშნება.

ევროკავშირის სანქციებმა გაართულა რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ გზა გაუხსნა მეზობელ ქვეყნებს ახალი ეკონომიკური კავშირებისკენ. მსოფლიოში არსებული ენერგეტიკული კრიზისი თავისთავად მოქმედებს ენერგორესურსების მქონე სახელმწიფოებზე, მათ შორის აზერბაიჯანზეც. ეცემა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასები, რაც აფიქრებინებს ამ ქვეყანას, აქცენტი გადაიტანოს არანედლეულ ექსპორტზე, ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, წარმოებული პროდუქციის დსთ-ს ბაზარში შეტანაზე. ამ ბაზარს კარგად იცნობს აზერბაიჯანი, ისე, როგორც დსთ. ბაზარმაც კარგად იცის აზერბაიჯანის პროდუქცია. და გადის აზერბაიჯანიდან ჩაი და ბოსტნეული, კიტრი და პომიდორი, ხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

საბჭოთა კავშირის ჩაის მოთხოვნილების 97%-ის დამაკმაყოფილებელი საქართველო, არათუ დსთ-ში ჩაის გატანით არის დაკავებული, საკუთარ თავსაც ვერ იკმაყოფილებს, თუ არ ჩავთვლით უცხოეთიდან შემოტანილი ჩაის დაფასოებას და ქართული წარმოების პროდუქტად გასაღებას. ქართული ბრინჯი, ქართული შაქარი, ქართული ტომატ-პასტა, ქართული ... რომელია ქართული? ასეა ჩაის საქმეც.

ქართული პოლიტიკა ვერა და ვერ ჭვრეტს ახლო აღმოსავლეთის მოვლენებს. გრძელდება რუსეთის ავიაციის მიერ სირიის ტერიტორიაზე განლაგებული ტერორისტული ორგანიზაციების, მათ შორის „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების დაბომბვა, სირიის არმიის შეტევა. ტერორისტები იძულებული იქნებიან თავი სხვა ქვეყნებს შეაფარონ, მათ შორის საქართველოს. შესწევს თუ არა საქართველოს ძალა ებრძოლოს ომგამოვლილ ტერორისტებს? ეჭვი მეპარება.

საქართველოს ხელისუფლება ცხოველ ინტერესს უნდა იჩენდეს არცთუ შორეული მოვლენის საწინააღმდეგო სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლად, რისთვისაც მას უდავოდ დასჭირდება რუსეთ-ირანთან ურთიერთობა. ეს, ის ქვეყნებია, ტერორიზმს რომ ფაქტიურად და არა ფიქტიურად ებრძვიან. ამ ბრძოლაში ისინი გაცილებით სანდონი არიან, ვიდრე ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი აშშ.

სირიაში მებრძოლი ვაჰაბიტების უკრაინაში გამოყენების ფაქტებს თუ გავიზიარებთ, უმალ გაგვიჩნდება კითხვა - რამდენად არის შესაძლებელი სირიაში მებრძოლი ჯიჰადისტების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოყენება? ტყუილად არ იტყოდა უკრაინაში გამაგრებული საკაშვილი ვიღაც „ბოევიკების გამოყენებაზე. მას და მის თანამებრძოლს, შსს ყოფილი მინისტრის მოადგილეს ლორთქიფანიძეს, რომელიც ამჟამად „ბელადის“ გვერდით, უკრაინაში „მოღვაწეობს“, რადიკალურ ისლამთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვთ.

განუჭვრეტელობის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ზემოაღნიშნულიც საკმარისია შესაბამისი დასკვნის გასაკეთებლად, არსებული პოლიტიკის შესაცვლელად. თორემ გაგვიჭირდება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ინფექციები, ნეიტრინო, „კვარტეტი“, სიმდიდრე და სხვა

მეცნიერებასა და ლიტერატურაში მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ნობელის პრემიის მიმნიჭებელმა კომისიამ 2015 წლის ლაურეატები დაასახელა. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულები 8 მილიონ შვედურ კრონას (დაახლოებით 950 ათას დოლარს) მიიღებენ.

მედიცინა და ფიზიოლოგია

უილიამ კემპბელი (აშშ), სატოსი ომურა (იაპონია), ტუ იუიუ (ჩინეთი).

რაში მიენიჭათ: „აღმოჩენებისთვის, რომლებიც ეხება პარაზიტი ასკარიდების მიერ გამოწვეულ ინფექციებთან ბრძოლის ახალ მეთოდებს“; „აღმოჩენებისთვის, რომლებიც ეხება მალარიასთან ბრძოლის ახალ მეთოდებს“.

სარგებელი: ამ შემთხვევაში ჯილდოთი აღინიშნა ის გამოკვლევები, რომელთა შედეგად რეალურად გადარჩა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. ამჟამად მსოფლიოში მალარიით დაავადებულია 300-დან 500 მილიონამდე კაცი, პარაზიტული სნეულებებით — დაახლოებით მილიარდი. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დღესდღეობით მალარია კვლავ რჩება დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებად, რომელსაც ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი ემსხვერპლება. იმავეს თქმა შეიძლება პარაზიტი ჭიებით გამოწვეულ სნეულებებზე — მდინარეულ სიბრმავესა და სპილოს დაავადებაზე. აღსანიშნავია, რომ თავიანთ გამოკვლევებს მეცნიერები ძველისძველი, პაპისეული მეთოდებით ასრულებდნენ — საჭირო წამლებს იმ სოკოებიდან და მცენარეებიდან გამოყოფდნენ, რომლებსაც ხალხურ მედიცინაში დღესაც იყენებენ. მაგალითად, ქალბატონმა ტუ იუიუმ მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატი აბზინდის ექსტრაქტის საფუძველზე შექმნა.

ფიზიკა

ტაკაააკი კაძიტა (იაპონია), არტურ მაკდონალდი (კანადა).



რაში მიენიჭათ: „ნეიტრინული ასცილაციების აღმოჩენისთვის, რამაც დაადასტურა, რომ ნეიტრინოს მასა გააჩნია“.

სარგებელი: ისევე, როგორც ჰიგსის ბოზონთან შემთხვევაში, რომელსაც ნობელის პრემია 2013 წელს მიენიჭა, ამ ნაშრომსაც გამორჩეულად ფუნდამენტური ხასიათი აქვს.

ნეიტრინოები ვარსკვლავთა წიაღში იბადებიან, შემდეგ ყველა მიმართულებით იფანტებიან და თავის გზაზე ნებისმიერ წინაღობაში დაუბრკოლებლად გადიან. ყოველ წამს თითოეულ ჩვენგანში ათობით მილიარდი (!) ნეიტრინო გადის. მათი თავისებურება ისაა, რომ ისინი მატერიასთან თითქმის არ ურთიერთქმედებენ. ამის მიუხედავად, მეცნიერებმა ისწავლეს მათი რეგისტრირება.

მაგრამ, რატომაა, რომ მზიდან დედამიწამდე სამჯერ ნაკლები ნეიტრინო აღწევს, ვიდრე თეორიული გათვლებით უნდა მოდიოდეს? სად ქრება დანარჩენი? ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ნეიტრინოები კი არ ქრება, არამედ, უბრალოდ, მდგომარეობას იცვლიან. ამას კიდევ ერთი დასკვნა მოყვა: იდუმალ ნაწილაკებს მასა აქვთ.

ნეიტრინოს შესწავლამ ნათელი უნდა მოფინოს სამყაროს მოწყობას. კერძოდ, ამან ბნელი მატერიის წარმოშობის საიდუმლოს გამოცნობას უნდა შეუწყოს ხელი, რომლის მასა ჩვენს გარშემო სამყაროში 25 პროცენტს აღწევს.

ქიმია

თომას ლინდალი (დიდი ბრიტანეთი), პოლ მოდრიჩი და აზიზ სენკარი (აშშ).

რაში მიენიჭათ: „დნკ-ს აღდგენის მექანიზმის შესწავლისთვის“.

სარგებელი: შვედეთის სამეფო აკადემიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომებით მოლეკულურ დონეზე გაირკვა მთელი რიგი მემკვიდრეობითი დაავადების მიზეზი, ასევე კიბოს განვითარებისა და დაბერების მექანიზმები.

საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ დნკ-მოლეკულა მდგრადია, მაგრამ 1970 წელს გაირკვა, რომ ის გამუდმებით განიცდის რიგი ფაქტორის, მაგალითად, ულტრაიისფერი გამოსხივების, კანცეროგენებისა და თავისუფალი რადიკალების მავნე ზეგავლენებს. მაშ, რატომაა, რომ გენეტიკური ინფორ-

მაციის ეს მთავარი მატარებელი არ იშლება?

თომას ლინდალმა დნკ-ს აღდგენის ერთ-ერთი მექანიზმის ამხსნელი ჰიპოთეზა წარმოადგინა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ დნკ-მოლეკულის დაზიანებული უბანი მოლეკულიდან „იჭრება“. პოლ მოდრიჩმა აჩვენა, თუ როგორ იცავენ თავს უჯრედები იმისგან, რომ გაყოფის პროცესში დნკ-ს შეცდომები მემკვიდრეობით არ გადასცენ. დაბოლოს, აზის სენკარმა აღწერა, თუ როგორ აღადგენენ უჯრედები მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებით მიყენებულ დაზიანებებს. ისინი, ვისაც აღნიშნული მექანიზმი დაზიანებული აქვთ მზის გამოსხივებით, კანის კიბოთი დაავადების მაღალი რისკის ჯგუფში არიან.

ლიტერატურა

სვეტლანა ალექსიევიჩი (ბელარუსი).

რაში მიენიჭა: „მრავალმხრივი შემოქმედებისთვის — ჩვენი დროის ტანჯვისა და ვაჟკაცობის ძეგლისთვის“.

აღსანიშნავია, რომ რუსულენოვანი მწერლებისთვის ნობელის პრემია ბოლო 28 წლის მანძილზე არ მიუნიჭებიათ. სვეტლანა ალექსიევიჩის ნაწარმოებში გვიანი სსრ კავშირისა და პოსტსაბჭოური ეპოქის ცხოვრებაა აღწერილი.

მშვიდობის პრემია

„ტუნისში ეროვნული დიალოგის კვარტეტი“

რაში მიენიჭა: „2011 წელს ტუნისში ჟასმინის რევოლუციის შემდგომ მოკლე დროში პლურალისტული დემოკრატიის შექმნაში შეტანილი გადამწყვეტი წვლილისთვის“.

ტუნისმა შეძლო სამოქალაქო ომისთვის თავის არიდება და მრავალი ექსპერტი ამას სწორედ ოთხი ორგანიზაციისგან შემდგარი „კვარტეტის“ დამსახურებად მიიჩნევს. იგი 2013 წელს შეიქმნა ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად.

ეკონომიკა

ენგუს დიტონი (დიდი ბრიტანეთი, აშშ).

რაში მიენიჭა: „მოხმარების, სიღარიბისა და კეთილდღეობის ანალიზისთვის“.

სარგებელი: ნობელის კომიტეტის ცნობაში, კერძოდ, აღნიშნულია: „მისმა გამოკვლევებმა დიდი წვლილი შეიტანეს იმის გაგებაში, თუ როგორ აკეთებენ არჩევანს ცალკეული მომხმარებლები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკისთვის, რომლის გატარებით იზრდება კეთილდღეობა და იკლებს სიღარიბე“.

ენგუს დიტონის ნაშრომებს შორის გამორჩეულია გამოკვლევა „როგორ შეეფარდება ერთმანეთს სიმდიდრე და სიღარიბე, როგორ გავზომოთ ისინი?“ ხუთი წლის წინათ, ცნობილ ფსიქოლოგთან ერთად, მეცნიერმა გამოაქვეყნა ნაშრომი სიმდიდრისა და სიღარიბის ურთიერთკავშირის შესახებ. მასში იგი ამტკიცებს, რომ ფულს ბედნიერების მოტანა მხოლოდ კეთილდღეობის გარკვეული დონის მიღწევამდე შეუძლია.

◎ განათლება

საჭიროა სასკოლო სახელმძღვანელოების თვისობრივი გაუმჯობესება

განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე სასკოლო სახელმძღვანელოების თვისობრივ გაუმჯობესებას ითხოვს.

ამის შესახებ მან ამავე კომიტეტის სხდომაზე ისაუბრა, სადაც სამთავრობო პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს ქეთევან ნატრიაშვილს მოუსმინეს.

კიღურაძის თქმით, სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული პრობლემა ძალიან მტკივნეულია.

„როგორი სტრატეგია არსებობს, რომ ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ მართლაც თანამედროვეების შესატყვისი სახელმძღვანელოები მიიღონ. ჩვენ აქ სერიოზული პრობლემები გვაქვს, თუმცა ასე ხელაღებით ვინმემ განათლების სამინისტროს დააბრალოს, სწორი არ იქნება. ამ თვალსაზრისით ძალიან მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ“, — განაცხადა ივანე კიღურაძემ.

როგორც მინისტრის მოადგილემ კიღურაძის პასუხად განმარტა, გარდა იმისა, რომ მიზნად სახელმძღვანელოების თვისობრივი გაუმჯობესებაა დასახული, მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმების გადახედვა, რაც სახელმძღვანელოების გადახედვასაც მოითხოვს.

◎ ძიუდო

თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“

აბუ დაბიში ძიუდოისტთა დიდი სლემის ტურნირზე საქართველოს ფალავნებმა თითო ოქროს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი ამირან პაპინაშვილი (60) ავიდა, ხოლო ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა და ევროპის ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (73) მესამე ადგილი დაიკავა.

პაპინაშვილმა ყველა შეხვედრა საკმაოდ დამაჯერებელად ჩაატარა: დაამარცხა ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანელი ფრანსისკო გარიგოსი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი და ევროპის ორგზის ფინალისტი, სომეხი ჰოვანეს დავთიანი, თურქეთის სახელით მოჭიდავე ბეთქილ შუკვანი, იგივე ბეკირ ოზლუ, უტიტულო ჩეხი პაველ პეტრიკოვი. ფინალში პაპინაშვილს ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ფინალისტი, მონღოლი ცოგტბაატარ ცენდოჩირი ელოდა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ აბუ დაბიშივე ახალგაზრდულ მსოფლიოზე თორნიკე ნაგლიაშვილი დაამარცხა. პაპინაშვილმა მას წლეულს თბილისის ტურნირზე ვაზარ-იუკოთი მოუგო, აბუ დაბიშიც სძლია და პირველი ადგილი დაიკავა.

შავდათუაშვილმა პირველ წრეში პუერტორიკოელი აუგუსტო მირანდა 4 გაფრთხილებით მოახსნევინა, იტალიელ ენრიკე პარლატის ორი ვაზარით აჯობა, კორეელ მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან ჩანგრიმ ანთან გაფრთხილებებით წააგო, სანუგეშოში იაპონური წარმოშობის ესპანელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი, 37 წლის კიოში უემაცუ დაამარცხა იუკოთი, ხოლო ბრინჯაოსთვის გადამწყვეტ პაექრობაში ჩინელი ინჯირიგალა საი დაჯაბნა.

ლაშა დიდია

◎ ფარიკაობა

ხმალს სხვები უკეთ იქნევენ

ბუდაპეშტში მოფარიკავეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში 200-ზე მეტი მოხმალავე მონაწილეობდა, მათ შორის — ოთხი საქართველოდან. ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ ჯგუფში ხუთი მეტოქე დაამარცხა: ენდრიუ ფიშლი (აშშ, 5:3), ვილმოშ ზლამა (უნგრეთი, 5:0), რუვენ რედვანცი (გერმანია, 5:2), მიკოლაი გუეგორეკი (ჰოლანდია, 5:0), პაბლო მორენო (ესპანეთი, 5:3) და ერთადერთი ორთაბრძოლა წააგო სეპე ვან პოსლბეკთან (ბელგია, 2:5). იგი პლეი-ოფში გავიდა, სადაც ორ კონკურენტს აჯობა — გერმანელ თომას შულცსა (15:13) და პოლონელ მარჩინ კონიუზს (15:6), თუმცა თავადაც დანებდა ალემან ბენედიქტ ვაგნერს — 11:15 და 46-ე ადგილზე გავიდა. მიხეილ მარდალეიშვილმა ქვეჯგუფში სამი მეტოქე დაჯაბნა, ამდენივე შეხვედრა დათმო, მერე პლეი ოფში ესპანელები — ფერნანდო კასარესი (15:11) და გუილერ მანჩენო (15:8) ჩამოიშორა გზიდან, მესამე წრეში კი რუსეთელ კამილ იბრაგიმოვთან დამარცხდა — 13:15 და 59-ე ადგილს დასჯერდა.

საბა სულამანიძემ და ბექა ბაზაძემ, შესაბამისად, მხოლოდ ორ და ერთ მეტოქეს აჯობეს, რაც პლეი ოფში მოსახვედრად საკმარისი არ აღმოჩნდა და საბოლოოდ 170-ე და 178-ე ადგილებს დაყაბულდნენ. პირველ-მესამე ადგილებზე გავიდნენ: 1. წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ალექსეი იაკიმენკო (რუსეთი), 2. ჯუნგვან კიმი (კორეა), 3. კამილ იბრაგიმოვი (რუსეთი) და ნიკოლას რუსეტი (საფრანგეთი).

ქართველმა მოფარიკავეებმა გუნდურში უკეთესი შედეგი აჩვენეს: 24 ნაკრებს შორის მე-10 ადგილი დაიკავეს და სარეიტინგო მაჩვენებელი გაიუმჯობესეს: ჯერ ჰონკონგს აჯობეს — 45:37, მეორე პაექრობა გერმანელებთან დათმეს — 40:45. სამაგიეროდ, IX-XVI ადგილებისთვის ერთნაირი ანგარიშით — 45:44 სძლიეს რუმინეთსა და ბელარუსს, ირანთან კი მე-9 ადგილისთვის ბრძოლა 37:45 წააგეს. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთი, 2. აშშ, 3. უნგრეთი. ამ უკანასკნელმა ბრინჯაოს მედლისთვის გერმანია დაამარცხა — 45:42.

ირაკლი ხმალაძე

◎ ხელბურთი

ისრაელში — მსოფლიოსთვის

2017 წელს ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის საგზურების მოსაპოვებლად 5-7 ნოემბერს პირველი საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართება. საქართველოს ნაკრები მე-4 ევროპულ ჯგუფში ითამაშებს თელ ავივში ისრაელის, პორტუგალიისა და ესტონეთის წინააღმდეგ. ჩვენი გუნდი აღთქმულ მიწაზე ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდება მეტოქეებს: შოთა თევზაძე („რეშიცა“, რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე (სტუ), უჩა გამზარდია („ფოთი“), ირაკლი კბილაშვილი („ქუთაისი“), რევაზ ჭანტურია („სტრუმიცა“, მაკედონია), გიორგი დიხამინჯია („პეგასი“), უჩა მისურაძე („ბათუმი“), გიგა კოხრეიძე („პეგასი“), ლევან ბერძენიშვილი („ბათუმი“), ირაკლი ჩიქოვანი („ტიმიშოარა“, რუმინეთი), სერგო დათუკაშვილი („ვოივოდინა“, სერბეთი), რატი მსხვილიძე („აქჩაბათი“, თურქეთი), ლექსო წითელიშვილი, ზურაბ სიმონია („სამტრედია“), თემურ ორჯონიკიძე (სტუ), აკაკი ტალახაძე („თავრიზი“, ირანი). მთავარი მწვრთნელი ლევან გელაშვილი, მწვრთნელი გიორგი გვაზავა.

კალენდარი

5 ნოემბერი: პორტუგალია — ესტონეთი, ისრაელი — საქართველო.

6 ნოემბერი: ესტონეთი — ისრაელი, საქართველო — პორტუგალია.

7 ნოემბერი: ესტონეთი — საქართველო, პორტუგალია — ისრაელი.

პლე-იოფში გადის მხოლოდ გამარჯვებული.

თამაზ პატარაია

◎ რაგბი

„ოლ ბლექსის“ მესამე ზეობა

დიდ ბრიტანეთში დამთავრდა მსოფლიოს თასის მორიგი გათამაშება. მთავარი პრიზი — „ვებ ელისის თასი“ მესამედ დაიმსახურა ახალი ზელანდიის ნაკრებმა. 1987 და 2011 წლებში წარმატებას მან საკუთარ კედლებში მიაღწია, ამჯერად კი ევროპაში გაიმარჯვა: ფინალში ავსტრალიის ეროვნული გუნდი დაამარცხა — 34:17. ახალზელანდიელი მორაგბეები რომ მართლაც საუკეთესოები არიან, ამის დასტურად ისიც კმარა, რომ სტივ ჰანსენის შეგირდებმა ოთხწლიან ციკლში მხოლოდ ერთხელ წააგეს.

ფინალური მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, როცა ანგარიში იყო 21:17 თასის მფლობელთა სასარგებლოდ, ავსტრალიელები უტევდნენ და თითქოს ორთაბრძოლის გადარჩენის შანსიც გაჩნდა, მაგრამ ახალზელანდიელთა მგეზავმა დენ კარტერმა არეკნით ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე გაზარდა - 24:17. მანვე საჯარიმოც გაიტანა, რასაც მაა ნონუს ლელო და კარტერის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა. როგორც აღვნიშნეთ, ახალზელანდიელებმა — 34:17 გაიმარჯვეს და თასი შეინარჩუნეს. საგულისხმოა, რომ მსოფლიოს თასის საუკეთესო მორაგბედ ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავი დენ კარტერი აღიარეს.

III ადგილისთვის ბრძოლაში სამხრეთმა აფრიკამ არგენტინას მოუგო — 24:13. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. ახალი ზელანდია, 2. ავსტრალია, 3. სამხრეთი აფრიკა, 4. არგენტინა, 5. ირლანდია, 6. შოტლანდია, 7. საფრანგეთი, 8. უელსი, 9. იაპონია, 10. ინგლისი, 11. იტალია, 12. საქართველო, 13. სამოა, 14. ტონგა, 15. ფიჯი, 16. რუმინეთი, 17. კანადა, 18. ნამიბია, 19. აშშ, 20. ურუგვაი.

* * *

შვიდი ტურის შემდეგ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში გათამაშდა მე-7 ტურის გამოტოვებული შეხვედრა: „ლოკომოტივმა“ „არმაზი“ დაამარცხა — 21:16 და გათამაშების ცხრილის მე-5 საფეხურზე აინაცვლა.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ჯიქი	7	6	0	1	+65	27
ბათუმი	7	5	0	2	+15	22
აია	7	4	1	2	+19	20
ლელო	7	4	1	2	+18	19
ლოკომოტ.	7	4	0	3	+15	19
ყოჩები	6	4	0	2	+24	18
აკადემია	7	3	0	4	-31	14
არმია	7	1	1	5	-26	10
ხარები	7	1	0	6	-61	6
არმაზი	6	0	1	5	-38	5

VIII ტური

„აკადემია“ — „ლოკომოტივი“, „ლელო“ — „ყოჩები“, „არმია“ — „ბათუმი“, „ჯიქი“ — „ხარები“, „არმაზი“ — „აია“.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

განახლებული რეიტინგებით

წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა ათეულის სათავეში ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰოუ იფანი იმყოფება 2683 პუნქტით. შემდეგ მოდიან: ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2583), ნანა ძაგნიძე (2566), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2547), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2542), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2534), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2534), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2534), პია კრამლინგი (შვედეთი, 2524), ჩჟაო სიუე (ჩინეთი, 2524). ძაგნიძის გარდა, საუკეთესო ასეულში არიან: 15. ბელა ხოტენაშვილი (2512), 16. ნინო ბაციაშვილი (2509), 21. ელა ჯავახიშვილი (2479), 35. სალომე მელია (2452), 49. ნინო ხურციძე (2432), 59. მერი არაბიძე (2408), 88. სოფიკო გურამიშვილი (2371), 98. მაია ლომინეიშვილი (2365).

ვაჟთა ათეული ასეთია: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2850), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2803), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2803), ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი, 2796), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2793), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2787), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2781), დინ ლიჟენი (ჩინეთი, 2781), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2778), უესლი სოუ (აშშ, 2767). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერი ბაადურ ჯობავა 2668 პუნქტით 75-ეა.

გივი გაგუა

◎ საქმემან შენმან

ეს პრესტიჟია საქართველოსი!

საკმარისია ჩვენი ძვირფასი კოლეგა ზურაბ თალაკვაძე შეგვეხმიანოს, რომ შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ: იგი რაიმე საშვილიშვილო ღონისძიებაზე გვიწვევს.

ასე მოხდა ამჯერადაც – კომპანია „ალტას“ ოფისში (ყოფილი ქარხანა „მიონი“) საქართველოს კორპორატიული სპორტის ფედერაცია დაფუძნდა. თვით პატივცემული საზოგადოების შეკრების დღის წესრიგი, გამომსვლელთა ვინაობა და „ახალი ხილის“ მიზნები დაგარწმუნებთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების პროცესი შეუქცევად ხასიათს იძენს, ეს კი ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს კიდევ უფრო გაზრდის.

დღის წესრიგი

1. კორპორატიული სპორტის ფედერაციის დაფუძნების აუცილებლობა და დადებითი შედეგები (ზურაბ ბოქოლიშვილი).

2. სამოყვარულო სპორტის განვითარების და ზოგადად სპორტის გავლენა ადამიანთა ფორმირებაზე (კახი კახიაშვილი).

3. სპორტული ინფრასტრუქტურის, არაფორმალური ურთიერთობის დამყარების, სპორტის როგორც მედიატორის და ახალი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება (ირაკლი მეძმარიაშვილი).

4. დამსაქმებელთა ასოციაციის მზადყოფნა თანამშრომლობაზე და პარტნიორ უცხოურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პერსპექტივა (ელგუჯა მელაძე, ზურაბ აგლაძე).

5. კომპანიის შიგნით ჯანსაღი ცხოვრების წესის კულტივირება, როგორც წარმატებული ორგანიზაციის მოდელი (კაირატ კაბილოვი) რომპეტროლი.

6. ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერა აღნიშნული პროექტის მიმართ (გიორგი ზურაბიშვილი).

7. სპორტის სამინისტროს მხარდაჭერა (ვასიკო ლიპარტელიანი).

8. ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერა (პაატა ხიზანიშვილი).

კორპორატიული სპორტის ფედერაციის მიზნები:

კორპორატიული სპორტი არის მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტის პოპულარიზაციის გაზრდის საქმეში, ასევე მას მოაქვს უდიდესი ეფექტი იმ კომპანიებისთვის, ვინც სტრუქტურებში ამ პროცესების კულტივირებას ახდენს.

1. კომპანია იღებს უფრო ჯანმრთელ თანამშრომლებს.

– იკლებს ჯანმრთელობის გამო შვებულებების რაოდენობა 15 პროცენტით, კომპანია ინვესტიციებს აბანდებს თანამშრომლების ჯანმრთელობაში.

2. კომპანია იღებს უფრო ლოიალურ თანამშრომლებს.

– პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ თანამშრომლები, ვინც რეგულარულად იღებენ მონაწილეობას კორპორატიულ ტურნირებში, მზად არიან კომპანიისთვის თავდადებისთვის.

3. კომპანია იღებს უფრო კვალიფიციურ თანამშრომლებს.

– Headhunter-ის მონაცემებით, გამოკითხულთა 52 პროცენტი თვლის მნიშვნელოვნად კომპანიაში სპორტის არსებობას და მიიჩნევს მას კონკურენტულ უპირატესობად.

4. კომპანია ხდება ერთი ფილოსოფიის საერთო მიზნების გუნდი.

– კორპორატიული სპორტით საერთო მიზნებს პირადულზე წინ აყენებს, რაც ამაღლებს ურთიერთნდობას.

5. კომპანია იღებს გამარჯვებულის მენტალიტეტის მქონე თანამშრომლებს.

– რეგულარული დაკავება სპორტით გამარჯვების სურვილს აყალიბებს ძლიერ ჩვევად, რომელიც ბიზნესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

6. კომპანია იღებს დამატებით საინფორმაციო მიზეზს.

– კორპორაციული ტერმინები იძენენ პოპულარობას და ამ ინვენთებში ხშირად გვხვდებიან ცნობილი და ლეგენდარული სპორტსმენები. ეს ყვლაფერი საინფორმაციო საშუალებების აქტიური ყურადღების საგანი ხდება მაშინ, როდესაც წმინდა კორპორატიული სიახლეები მათი მხრიდან გაშუქების გარეშე რჩება.

რატომ ხდება, რომ მსოფლიოს წამყვანი კომპანიები Vodafone, Google, Ernst & Young მონაწილეობენ ასეთ ღონისძიებებში?

პასუხი მარტივია – ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციაა! ყველა ხელმძღვანელის მიზანი არის შრომის ეფექტურობის გაზრდა და ესმის, რომ თანამშრომლის განვითარებით ის თავის ბიზნესს ანვითარებს. ამიტომაც არიან ეს ადამიანები წარმატებული.

რა მომსახურებას გაწევს ფედერაცია?

კორპორატიული სპორტული ტურნირების ორგანიზებას;

თანამშრომელთა სპორტული უპირატესობების გამოვლენას;

საწარმოს კორპორატიული სპორტის პროგრამის დამუშავებას;

ეფექტურობის ანალიზის გამოთვლას.

კომპანიამ Johnson & Johnson. გამოაქვეყნა ციფრი 250 მლნ. დოლარი, რომელიც მან დაზოგა სწორედ იმის გამო, რომ თანამშრომლები უფრო იშვიათად ხდებიან ავად.

მთელ მსოფლიოში აქტიურად ვითარდება გლობალური (Company) ფედერაციები. ამ სტრუქტურებში გაწევრებით ჩვენც გვექნება საშუალება, მონაწილეობა მივიღოთ მსოფლიო და ევროპის კორპორატიულ თამაშებში, სადაც სპორტული ნაწილის გარდა ხდება მსოფლიოს წამყვანი კომპანიების თანამშრომლებთან არაფორმალური მეგობრული ურთიერთობების დამყარება, რაც წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი წინაპირობაა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

როგორ მოვიზიდოთ ქომაგები?

ვითიბის გაერთიანებულ ლიგაში თბილისის „ვითამ“ მორიგი მატჩი კრასნოდარის „ლოკომოტივთან“ 63:76 წააგო, რაც მოსალოდნელიც იყო – ყუბანელები ხომ ევროლიგაშიც ბრწყინვალედ თამაშობენ, სადაც სამივე სასტარტო შეხვედრა მოიგეს, მათ შორის ტიტულოვან „პანათინაიკოსთან“ (შინ) და გამობრძმედილ „ულგირისთან“ (სტუმრად).

არანაკლებ დასანანი ისაა, რომ რუსულმა კლუბმა ქომაგობაშიც გვაჯობა – მათ გულშემატკივართა მრავალრიცხოვანმა დესანტმა მასპინძელთა რამდენიმე ათეულ მხარდამჭერს საყვარელი გუნდის გამხნევების კლასიკური გაკვეთილი ჩაუტარა, არადა ამ ბრძოლისათვის ბილეთები არ გაყიდულა და დასწრება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლო.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულმა სატყუარამ არ იმოქმედა – ვფიქრობთ, საკმარისია პაველ გოოგეს შეგირდებმა ნავსი გატეხონ და პირველი გამარჯვება სპორტის სასახლის ტრიბუნებზეც სათანადოდ აისახება. მით უმეტეს, რომ საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი თანდათან კრეფს კონდიციებს, რის დასტურადაც თუნდაც რკინიგზელებთან დუელი გამოდგება, რომლის პირველი პერიოდიც მრისხანე მეტოქეს მოვუგეთ – 21:19, ხოლო დიდ შესვენებაზე მხოლოდ მინიმალური ჩამორჩენით გავედით – 36:38.

მრავლისმეტყველი ფაქტი: საფინალო სასტვენის შემდეგ სტუმართა ფანები სკანდირებდნენ: „მადლობა, საქართველო!“

8 ნოემბერს „ვითა“ ყაზანის „უნიქსს“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა მეგობრისა და კოლეგის გია დარჯანიას დედა ქალბატონი

ლუბა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ძვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, გულო ლაბარტყავა, იურა ალანია, ჯემალ კვირტია, ლია წურწუმია, თენგიზ უჩანეიშვილი, ბესლან ძორძია.

◎ ალიან-ჩალიანი

ოზურგეთელებს წყალმომარაგება გაუუმჯობესდებათ

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად ოზურგეთში ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს.

პროექტის ღირებულება 5 მილიონ ლარზე მეტია და იგი გამანაწილებელი ქსელის-მშენებლობა/რეაბილიტაციას ითვალისწინებს. მიმდინარე სამუშაოები, გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიის დირექტორმა ნიკოლოზ ქიზიყურაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და ობიექტზე არსებულ ვითარებას გაეცნო. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ოზურგეთში მცხოვრები 5 000-ზე მეტი ოჯახი 17-24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წყლის ხარისხი და წყლის დანაკარგი შემცირდება.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ტარდება. სამშენებლო სამუშაოებზე 65 ადამიანია დასაქმებული.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და მუნიციპალური განვითარების ფონდი, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით მსგავს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს მასშტაბით კიდევ 24 ქალაქში ახორციელებს.

მექანიზაციის ახალი ცენტრი ჩაქვში

საძართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია დაბა ჩაქვში შპს „მექანიზატორის“ სერვისცენტრის მშენებლობის პროცესს გაეცნო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული სერვისცენტრი 48 ერთეულ ტრაქტორზეა გათვლილი.

ცენტრის ადმინისტრაციული შენობა ორსართულიანია. პირველ სართულზე განთავსებული იქნება ბანკი და ოფისები, ხოლო მეორე სართულზე საკონფერენციო დარბაზი და სასადილო მომსახურე პერსონალისთვის. ცენტრში მსუბუქი კონსტრუქციის სადგომები, აგრეგატებისა და სათადარიგო ნაწილების საწყობები, ბოქსები, სამრეცხაო, ვულკანიზაცია და სახარატოც მოეწყობა.

დღეისათვის, ჩაქვის სერვისცენტრში მობილიზებულია 28 ერთეული ტრაქტორი და 85 ერთეული აგრეგატი. აღნიშნული ტექნიკის მომსახურების ზონაში ქედის, ქობულეთის,შუახევის, ხელვაჩაურისა და ხულოს მუნიციპალიტეტები, ასევე ბათუმს შემოერთებული ტერიტორიები შედის. დაბა ჩაქვის სერვისცენტრში 10 კაცი, როგორც ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო 32 – ტექნიკის ოპერატორებად და ბრიგადის მენეჯერებად დასაქმდება.

მალტის გემი შავ ზღვას აბინძურებდა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების ფაქტზე მალტის დროშით მცურავი გემი 65 000 ლარით დააჯარიმეს.

სამართალდამრღვევმა ყულევის ნავსადგურში სამეურნეო ფეკალური წყლები ჩაღვარა. გემის კაპიტანს 65 000-ლარიანი ჯარიმის გარდა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც დაეკისრა, რომლის ოდენობაც 3000 ლარს აღწევს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2015 წლის 22 დეკემბერს 14 საათზე, შპს „პეის ტერმინალის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. ფოთი, დავითაიას ქუჩა 1), გაიმართება შპს „პეის ტერმინალის“ აკვატორიის და ტერიტორიის ფარგლებში უნივერსალური გადასატვირთი ნავმისადგომის კომპლექსის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ტვირთების გადატვირთვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

– შპს „პეის ტერმინალი“ ქ. ფოთი, დავითაიას ქუჩა 1.

– ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი, მის. ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. 12.

– დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: www.moe.gov.ge; www.aarhus.ge.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა გაზეთში გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „პეის ტერმინალის“ ადმინისტრაცია

როგორ დავივიწყოთ ტკივილები ზურგსა და სახსრებში და ვიცხოვროთ სრულფასოვნად?

საერთაშორისო სტატისტიკის თანახმად, სახსრების ტკივილები დედამიწის მოსახლეობის 80 პროცენტს აწუხებს!

ცნობილია, რომ ართროზი მოქალაქეთა 10 და მეტ პროცენტს გამოუვლინდა. ოსტეოქონდროზს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ინვალიდობისა და ნაწილობრივი ან სრული შრომისუუნარობის მიზეზებს შორის.

კაპილარები – როგორც ჩვენი ორგანიზმის პატარა გულები

დიდი ხანია, ცნობილია, რომ სახსრებთან დაკავშირებული პრობლემების მთავარი მიზეზი – ესაა სისხლდენის დაქვეითება და, როგორც შედეგი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა სახსრების გარშემო არსებულ ქსოვილებში, რასაც ბზარებამდე და ხრტილის წარხოცვამდე, მისი ელასტიურობის დაკარგვამდე მივყავართ. მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ დაავადებანი, როგორც წესი, დაკავშირებულია ორგანიზმის ამა თუ იმ მონაკვეთზე სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან. კაპილარები შეიძლება პატარა გულებს შევადაროთ, რომლებიც მიმოზნეულია მთელ ორგანიზმში და კვებავენ მის ყოველ უჯრედს. სწორედ ამიტომ მკურნალობა უნდა ხდებოდეს კაპილარულ დონეზე!

არადამამშვიდებელი დიაგნოზი – ჯერ კიდევ როდია სასოწარკვეთილების საბაბი!

სულ ცოტა ხნის წინათ საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაავადებანი განუკურნებლად მიიჩნეოდა. და მართლაც ყველა სამკურნალოს როდი შეუძლია დაგვეხმაროს. ბევრი მათგანი მხოლოდ დროებით გვიხსნის დანახულ სიმპტომებს და ტკივილის შეგრძნებებს. ყოველივე ამის დამატებით ზოგიერთ პრეპარატს აქვს სერიოზული თანმდევი ეფექტები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე და სხვა ორგანოებზე. მაგრამ მეცნიერება და მედიცინა ერთ ადგილზე დგანან. ამგვარ დაავადებათა მკურნალობა შესაძლებელი გახდა პატარა სისხლძარღვებზე სპეციალური სამედიცინო ხელსაწყოებით მაგნიტური ზემოქმედების წყალობით.

მაგნიტოთერაპევტული ტექნიკის ღირსეული წარმომადგენელია უნიკალური რუსული აპარატი ალმაგ-01.

ალმაგის მაგნიტური ველი ხელს უწყობს კაპილარების მოდუნებას, სისხლდენის გადიდებას და გაცვლითი პროცესების – დაზიანებული ქსოვილების კვებასა და ორგანიზმიდან ტოქსინებისა და მავნე ნივთიერებათა გამოდევნა-დაჩქარებას. გაგზავნილი იმპულსები ავადმყოფის სხეულში შედის 68 სანტიმეტრით, რაც საშუალებას იძლევა, გავლენა მოვახდინოთ ავადმყოფ სახსრებსა და ხერხემალზე. ეს იძლევა შესაძლებლობას, არა უბრალოდ მოვხსნათ სიმპტომები, არამედ განვკურნოთ მთლიანად.

აპარატ ალმაგ-01-ის უპირატესობანი

აპარატ ალმაგს აქვს მოსახერხებელი კონსტრუქცია, რომლის წყალობითაც შეიძლება სამკურნალო ზემოქმედებით მოვიცვათ სახსარი და მთელი ხერხემალი. ეს ხელს უწყობს მკურნალობის ხარისხის ამაღლებას.

ალმაგი იძლევა შესაძლებლობას:

1. სწრაფად მოვხსნათ ტკივილი, შეშუპება და ანთება;
2. შევაჩეროთ დისკებისა და სახსრების დეგრადაციის პროცესი;
3. აღვადგინოთ სახსრებისა და ხერხემლის მოძრაობა;
4. შევამციროთ სამკურნალო პრეპარატების დოზა მათი მოქმედების გაძლიერების ხარჯზე, ზოგჯერ კი სულაც უარი ვთქვათ მათზე.

აპარატი მარტივია გამოსაყენებლად, რისი წყალობითაც მკურნალობის სეანსი შეიძლება მოვაწყოთ ოჯახურ პირობებში, არ დავკარგოთ დრო პოლიკლინიკებში ყოველდღიური სიარულით ფიზიოპროცედურების გასავლელად. ალმაგოთერაპიის მთავარი მიზანია – დავუბრუნოთ აქტიური, მიზანსწრაფული და ბედნიერი ადამიანი სრულფასოვან ცხოვრებას.

მრავალწლიანი გამოცდილებით დადასტურებული ხარისხის გარანტია

ალმაგს უშვებს კომპანია ელამედი, რომლის აპარატებსაც სამედიცინო პრაქტიკაში იყენებენ 25 და მეტი წელია. იგი არის ბევრ კლინიკაში. მილიონობით ადამიანი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, კმაყოფილებით მკურნალობს ამ პრეპარატით სახლში, აღფრთოვანებით აღნიშნავს მის სამკურნალო თვისებებს. კომპანიას აქვს „რუსეთის ეკონომიკის ლიდერის“ სტატუსი, სხვა მაღალი ჯილდოები.

აპარატის ხარისხი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და შემოწმებულია დროის მიერ: ალმაგ-01-ს უშვებენ 15 და მეტი წელია.

ЗДОРОВЬЕ

ჩვენი კარაბადინი

ჯანმრთელობის ტრადიცია

ტრადიციული ჩინური მედიცინა – ესაა სწავლებებისა და პრაქტიკების სისტემა, რომელიც ათასწლეულების წინ ჩამოყალიბდა. მისი საფუძველია ორგანიზმის მოქმედებაზე გულდასმით დაკვირვება. თანაც საგულისხმოა, რომ მედიცინა და ფილოსოფია ერთდროულად და ერთმანეთისგან განუყოფლად ვითარდებოდა, მწყობრ სისტემად კი ჩ. წ. ა. პირველ ათასწლეულში ჩამოყალიბდა.

მკურნალობის მთავარი წესია დაავადების მიზეზის (და არა დასავლურ მედიცინაში მიღებული პრაქტიკით სიმპტომების) დადგენა და მოცილება. ამიტომ მკურნალობენ თავად ადამიანს, მისი ინდივიდუალური თავისებურებების და, თქვენ წარმოიდგინეთ, საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიისა და წლის დროის გათვალისწინებით!

დაკვირვებით დადასტურებულია, რომ ჩინურ მედიცინას პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება შემთხვევათა 70 პროცენტში შეუძლია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტები აღიარებენ, რომ აკუპუნქტურული მეთოდებით მკურნალობის ეფექტიანობას 43 ავადმყოფური მდგომარეობის დროს, თანაც ეს სია გამუდმებით იზრდება. ამის ოფიციალური ახსნა ასეთია: როცა სხეულის გარკვეულ წერტილებში წვრილი ნემსები შეჰყავთ, ნერვული სისტემა ნეირომედიატორებსა და ჰორმონებს გამოყოფს, რომლებიც ხსნიან ტკივილს, აძლიერებენ იმუნიტეტს და აწესრიგებენ ორგანიზმის ფუნქციებს.

ტრადიციული სამკურნალო მასაჟი ასევე ითვალისწინებს წერტილოვან ზემოქმედებას და ხელს უწყობს ენერგია ცის გადანაწილებას, ასევე ორი ურთიერთდამოკიდებული საწყისის – ინისა და იანის გაწონასწორებას.

ბალახებით მკურნალობის ჩინური სისტემა კი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთულია. პრეპარატების ფორმულები ხშირად ორ ათეულზე მეტ ინგრედიენტს შეიცავენ, რომელთა შორის შეიძლება იყოს არა მარტო მცენარეული, არამედ ცხოველური წარმოშობისა და მინერალური კომპონენტები.

მკურნალობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია დიეტა, რომლით მკურნალობის დახმარებით ასევე შეიძლება ინისა და იანის ჰარმონიის აღდგენა. მაგრამ, დასავლური მედიცინისგან განსხვავებით, ჩინური მედიცინა რაციონის დაბალანსებას არა ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების, არამედ გემოს მიხედვით ცდილობს. ადამიანმა უნდა ჭამოს მარილიანიც, მჟავეც, მწარეც, ცხარეც და ტკბილიც, მაგრამ მათი თანაფარდობა უნდა განსხვავდებოდეს წლის დროებისა და, რაც მთავარია, ადამიანის ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით.

ზოგადად კი, ტრადიციული მედიცინა ჩინელთათვის – ესაა „სიცოცხლის აღზრდის“ შესახებ მეცნიერების ნაწილი და, მკურნალობის გარდა, უშუს, ციგუნის, დაო-ინისა და სხვა ფსიქოფიზიოლოგიურ პრაქტიკებსაც მოიცავს.

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი – მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

რეკლამა 293-37-87 მაჩაბლის ქ. №7.

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

– **ძვირფასო**, გახსოვს, როდესაც ერთმანეთი გავიცანით, როგორი ჭექა-ქუხილი იყო? ეუბნება ცოლი ქმარს, – ცა ლამის მიწაზე ჩამოდიოდა, გამუდმებით ქუხდა, ელვა კი დღესავით ანათებდა კუნაპეტ ღამეს!

– მახსოვს, კარგად მახსოვს, მე კი, დებილი, ვერ მივხვდი, რომ ბუნება მაფრთხილებდა!

* * *

სანტექნიკოსმა ონკანი შეაკეთა, ნიჟარაც დაამაგრა და მოხუც დიასახლისს მიმართა:

– მორჩა, ბაბოჯან, თქვენგან ერთ ბოთლ არაყს ველი.

– შვილო, იქნებ ფული აიღო?

– არა, ბაბო, ჩემთვის ფულის მოცემა არ შეიძლება, სასმელში დავხარჯავ.

* * *

– **ექიმო**, მიშველეთ! რა მჭირს?

– ასე ნუ ნერვიულობთ. ჩვეულებრივი ბუასილი გაქვთ.

– ეს როგორ! ბუასილი სახეზე?

– აჰ, ეს სახეზეა?!

* * *

– **იცით** რა, ივან, მე იქნებ ძალიან ძველმოდური ვარ, მაგრამ ქალი მხოლოდ 19 წლის ასაკში გავხდი.

– ამ შემთხვევაში, მე ბევრად უფრო ძველმოდური ვარ, საერთოდ არ ვაპირებ ქალად გადაქცევას.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე